

ალექსი გოცირიძეს დაუსაბუთებელი ქონება ჩამოართვეს

A4



ახალი სეზონი, ახალი წესები, ახალი გუნდები

A5



ღმერთი და იუმორი

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 3 თებერვალი, 2006 წელი. №23 (1175) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ერთი წელი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებიდან

საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ერთი წელი გავიდა. ამ დოკუმენტს ოპონენტები მისი მიღების პროცესშიც და შემდეგაც მრავლად ჰყავდა, თუმცა კოდექსის პრაქტიკაში გამოყენებამ მასში დაშვებული ხარვეზები უფრო თვალსაჩინო გახადა. რა იმალებოდა მთავრობის მიერ ლიბერალურ კოდექსად მონათლული დოკუმენტის უკან? - ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად "24 საათმა" მეწარმეებს და ეკონომისტებს მიმართა.

A2

## სამართალი

### შსს-მ ირანული წარმოების „ჰეროინის" დიდი პარტია ამოიღო

შსს-ს თანამშრომლებმა გუშინ გამთენიისას მსხვილი ნარკოდილერი ნიფა ბაირამოვი, ზედმეტსახელად "ზაქირა", დააკავეს, რომელმაც საქართველოში უპრეცედენტო რაოდენობისა და ხარისხის ნარკოტიკული საშუალება შემოიტანა.

A4

## სპორტი

### ბერძენ-რომაელებმა ვერის ბაღი დატოვეს

ჩემპიონატის დასკვნითი დღე მართლაც გამორჩეული იყო. სამი წონითი კატეგორიიდან (60, 74, 96) ორში ისეთი ტიტულოვანი ფალავნები ასპარეზობდნენ, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებს რომ დაამშვენებდა.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 3/02 | 4 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 10 |
| ტყიბული | 10 | 11 |
| სოხუმი | 10 | 11 |
| დმანისი | 1 | 5 |
| გორი | 6 | 9 |
| ონი | 5 | 6 |
| ზუგდიდი | 11 | 12 |
| ახმეტა | 8 | 9 |
| გაგრა | 8 | 7 |
| სამტრედია | 11 | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1824 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.1765 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# მთავრობა თამბაქოზე აქციზს ამცირებს

### შეამცირებს თუ არა ეს ცვლილება ბაზარზე კონტრაბანდას?

ეთერ მამულაშვილი

*თამბაქოს ბაზარი დღეს კონტრაბანდული პროდუქტით რომ არის გაჯერებული, ამას ხელისუფლებაშიც აღიარებენ. სწორედ ამიტომ, ფინანსთა სამინისტრომ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებაზე მუშაობა დაიწყო, რაც, პირველ რიგში, აქციზის განაკვეთების შემცირებას ითვალისწინებს. უკვე გადაწყდა, რომ სიგარეტის აქციზის განაკვეთი 50 თეთრამდე შემცირდება. ეს ცვლილება ყველაზე მეტად თამბაქოს ადგილობრივ მწარმოებლებს აშფოთებთ. რისი ეშინიათ ქართველ მეწარმეებს? რეალურად რა შედეგები მოჰყვება აქციზის განაკვეთების შემცირებას ბაზარზე და არის თუ არა კონტრაბანდასთან ბრძოლის ეფექტური გზა საგადასახადო კოდექსში ამ ცვლილების შეტანა? "24 საათი" ამ საკითხებით დაინტერესდა.*

საგადასახადო კოდექსში თამბაქოს აქციზთან დაკავშირებით შესატანი ცვლილებები უკვე მომზადებულია. კანონპროექტი "საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე", რომელიც აქციზის განაკვეთის შემცირებას ითვალისწინებს, პარლამენტში რამდენიმე დღეში შევა. **"სიგარეტის აქციზი იმპორტირებულ და ადგილობრივ პროდუქციაზე 50 თეთრამდე შემცირდება,"** - აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი გოდაბრელიძე. პარლამენტმა ცვლილება საგაზაფხულო სესიაზე უნდა განიხილოს, ძალაში კი, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს შევა.

ასე რომ, ხელისუფლება კონტრაბანდული თამბაქოს წინააღმდეგ საბრძოლველად კომპლექსური ღონისძიებებისთვის ემზადება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უნუგეშოდ დარჩენილი ქუთაისი

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

**"არა შუქი, არა გაზი, არა წყალი, არა გზა... ქუთაისელების პატრონი არავინ გამოჩნდა,"** - ამ სიტყვებით შეეგება ათდღიანი "ბლოკადის" პირობებში მცხოვრები ქუთაისის მოსახლეობა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს. პარლამენტის თავმჯდომარეს ორი წლის წინ აღებული ვალდებულების გახსენება მოუხდა, როცა ის ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა.

**"ქალბატონი ნინო რომ ავირჩიეთ მაჟორიტარ დეპუტატად და მერე იგი პარლამენტის თავმჯდომარე გახდა, გვეგონა, ქუთაისს ეშველებოდა რამე, მაგრამ მთელ საქართველოში ყველაზე საცოდავ და დაჩაჩანაკებულ დღეში სწორედ ეს ქალაქი და აქ მცხოვრები ხალხი აღმოვჩნდით,"** - ამბობს ქუთაისელი მარინა იმედაძე.

გაგრძელება A2 გვერდზე



*ქუთაისელებმა უმძიმესი კვირა გადაიტანეს.*

# მუჰამედის კარიკატურები „ცივილიზაციათა შეჯახებას„ იწვევს

### ევროპას ბოდიშის მოხდა მოუწევს

*განრისხებულ პალესტინელთა ბრბო ღაზას სექტორში განთავსებულ ევროკავშირის წარმომადგენლობას ემუქრება. გუშინ რადიკალმა ისლამისტებმა ალყა შემოარტყეს ევროკავშირის შტაბ-ბინას (ზოგიერთი მონაცემებით, მათ შენობა მთლიანად დაიკავეს). გავრცელებული განცხადებით, თუ ბრიუსელი 48 საათის განმავლობაში ოფიციალურ ბოდიშს არ მოიხდის ევროპულ პრესაში გამოქვეყნებული წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების თაობაზე, რადიკალური პალესტინური დაჯგუფებები პირობას დებენ, რომ ავტონომიის ტერიტორიაზე მყოფ ყველა დანიელზე, ნორვეგიელსა და ფრანგზე იძიებენ შურს. გარდა ამისა, ისლამისტები "დამნაშავე" ქვეყნების წარმომადგენლებზე და ქრისტიანულ ეკლესიებზე იერიშის მიტანით იმუქრებიან.*

გაგრძელება A3 გვერდზე




# „თურქული კრედიტით" პარლამენტი ისევ დაინტერესდა

*"თურქული კრედიტის" ყბადაღებული თემა პარლამენტში კვლავ აქტუალური ხდება. "24 საათი" უკვე წერდა იმ დისკუსიის შესახებ, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ამ საკითხზე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში გაიმართა. აღნიშნული თემის ირგვლივ კამათი, კიდევ უფრო მძაფრი ფორმით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზეც გაჩაღდა.*

გიორგი ასანიძე

"თურქული კრედიტის" თოთხმეტწლიანი ისტორია ადასტურებს, რომ ამ საკითხის უკან, ფისკალურზე მეტად, პოლიტიკური ინტერესები იკითხება. ეს არც არის გასაკვირი: ის პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, რომელთაც ამ კრედიტთან პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვთ, დაინტერესებულნი არიან, რომ თურქული სესხის თემა ერთხელ და სამუდამოდ დაიხუროს. მათი ოპონენტები კი, პირიქით, შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ "თურქული კრედიტის" კიდევ ერთხელ პედალირებით, კონკურენტების რეპუტაცია შელახონ. მით უმეტეს, რომ განვლილი 14 წლის განმავლობაში დაგროვილ უამრავ კითხვას დღემდე არ გასცემია პასუხი.

"თურქული კრედიტის" წინა პლანზე კიდევ ერთხელ წამოწევის მიზეზი გახდა ის, რომ საგაზაფხულო სესიის დასაწყისში პარლამენტმა რატიფიცირება უნდა გაუკეთოს თურქეთის "ექსპორტკრედიტბანკსა" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც "თურქული კრედიტის" ნაწილის (26 მილიონი დოლარი) რესტრუქტურიზაციას ითვალისწინებს. 2004 წლის ივლისში "პარიზის კლუბში" გაფორმებული ამ ხელშეკრულების მიხედვით, "თურქული კრედიტის" პროცენტების გადახდა 2007 წლიდან დაიწყება, ძირითადი თანხის კი - 2011 წლიდან. ამასთან, 2003-2006 წლებში გადასახდელ 26 მილიონ დოლარს ქართული მხარე 2011-2025 წლებში გადაიხდის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# „კოსოვოს შემთხვევა უნიკალურია"

### საქართველოს პრეზიდენტი ამაში გერმანელებმა დაარწმუნეს

გერმანიაში სამუშაო ვიზიტით მყოფი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ბერლინში შეხვდა გერმანიის პრეზიდენტს ჰორსტ კოლერს, საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრს ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერსა და თავდაცვის ფედერალურ მინისტრს ფრანც-იოზეფ იუნგს.

როგორც ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა განუცხადა, ამ შეხვედრებზე საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება კოსოვოს თემით მანიპულირებასა და ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე გაამახვილა.

**"ჩვენი და გერმანიის პოზიცია ნათელია. კოსოვოს შემთხვევა უნივერსალური არ არის, ის უნიკალურია. ამ თემით ყოველგვარი მანიპულირება აბსურდულია,"** - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა. გელა ბეჟუაშვილის თქმით, გერმანიის პრეზიდენტმა და მიხეილ სააკაშვილმა ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზეც იმსჯელეს. მისი თქმით, აუცილებელია ახალი, ტრანსატლანტიკური ენერგეტიკული უსაფრთხოების პროექტების მომზადება. საქართველო მზადაა, ამ პროექტებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.

საქართველოს პრეზიდენტი ევროპის ქვეყნებში მოღვაწე საქართველოს ელჩებს შეხვდა და უფრო ხარისხიანი და აქტიური მუშაობისკენ მოუწოდა.

**"საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებს ძლიერი და გამოცდილი მოწინააღმდეგე, რომელსაც ბევრი ფული აქვს. ჩვენ კი მას ენთუზიაზმით, პროფესიონალიზმით, თავდადებით და სამშობლოს სიყვარულით უნდა დავუპირისპირდეთ,** - განაცხადა პრეზიდენტმა, - **მე მჭირდება ისეთი დიპლომატები, რომლებიც არ დაიძინებენ და არ წავლენ სახლში, სანამ არ გავალთ სამშვიდობოზე. პარლამენტარები, ელჩები, მთავრობის წევრები - დღეს ყველანი სამშობლოს ჯარისკაცები ვართ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

დღეს საქართველოს პრეზიდენტი ბერლინიდან მიუნჰენში გაემგზავრება, სადაც შეხვედრებს გამართავს საგარეო ურთიერთობათა საბჭოს განათლების დეპარტამენტის მრჩეველ რიჩარდ ჰოლბრუკთან, ნატო-ში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ვიქტორია ნულანდთან და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივან დონალდ რამსფელდთან.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ლუკა რამაზაშვილს პარტნიორები ესარჩლებიან

ბიზნესმენ ლუკა რამაზაშვილის დაკავებას გაუგებრობას უწოდებს მისი პარტნიორი გოგი თოფაძე.

სააგენტო "ინტერპრესნიუსს" კომპანია "ყაზბეგის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, რომ დაკავებული მოჭიდავე ლუკა რამაზაშვილი ქართველი ბიზნესმენის გოგი თოფაძის ბიზნესპარტნიორია. ლუკა რამაზაშვილის და გოგი თოფაძის პარტნიორობა არ უკავშირდება კომპანია "ყაზბეგს", რამაზაშვილი კომპანია "ფშაველის" ერთ-ერთი მოწილეა. აღნიშნული კომპანია თელავის რაიონის სოფელ ფშაველში სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის გადამამუშავებელ საქმიანობას ეწევა.

როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, გოგი თოფაძისთვის რამაზაშვილის დაკავების დეტალები ცნობილი არ არის და თუმცა, იგი მას გაუგებრობად მიიჩნევს, ლუკა რამაზაშვილს კი წესიერ ბიზნესმენს და პატრიოტს უწოდებს.

შეგახსენებთ, რომ კახეთის პოლიციის მთავარმა სამმართველომ ბიზნესმენი, ყოფილი სახალხო რაზმელი და სპორტსმენი ლუკა რამაზაშვილი გუშინწინ დააკავა. რამაზაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილითაა აღძრული, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 12 წლის ვადით.

ლუკა რამაზაშვილი თელავის რაიონის სოფელ ფშაველში ცხოვრობს და, ძირითადად, სამეწარმეო და საფერმერო საქმიანობითაა დაკავებული.

გაგრძელება A4 გვერდზე

# რევაზ ადამია რუსეთს ქართველთა გენოციდში ადანაშაულებს

## მოსკოვი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს აღარ უჭერს

*გაერო-ს შტაბბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე, გაერო-ში საქართველოს ელჩმა რევაზ ადამიამ რუსეთი აფხაზეთში ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკის გატარებაში, ქართველთა გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში დაადანაშაულა. ქართველი დიპლომატი მსოფლიო საზოგადოებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს კოლექტიური ძალების სამშვიდობო მისიის შეცვლისკენ მოუწოდებს. ადამიას განცხადებას დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში გამოეხმაურა და საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვითარების განზრახ გამწვავებაში დაადანაშაულა.*

ნათია მსხილაძე

გაეროს შტაბ-ბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე ქართველმა დიპლომატმა რევაზ ადამიამ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას მოულოდნელი უწოდა. რეზოლუციის მიხედვით, აფხაზეთში სამხედრო დამკვირვებელთა მისიას მანდატი ექვსი თვით კი არა, ორი თვით, 31 მარტამდე გაუგრძელდა.

ქართველი დიპლომატის განცხადებით, რუსეთი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში აშკარად სეპარატისტებს უჭერს მხარს და აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდსა და ეთნოწმენდაში პასუხისმგებლობა ეკისრება.

რევაზ ადამია გაერო-ში რუსეთის დელეგაციის პოზიციის ცვლილებაზეც საუბრობს: **"მოსკოვი, როგორც ჩანს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს აღარ უჭერს და აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიისკენ აქვს კურსი აღებული."** მაგალითისთვის ქართველმა ელჩმა, რუსეთის დელეგაციის დაჟინებული მოთხოვნით, 31 იანვარს მიღებული რეზოლუციის ტექსტიდან აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ამოღება დაასახელა. **"რუსეთში გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა პოზიცია შეიცვალეს და გადაწყვიტეს, მხარი აღარ დაუჭირონ კონფლიქტის მოგვარების მთავარ პრინციპს - საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის პრინციპს. შედეგად, ხსენებაც აღარ არის ე.წ. ბოდენის დოკუმენტის, რომელიც თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპს ეხება,"** - აცხადებს რევაზ ადამია (წინა რეზოლუციებში, მანდატის გაგრძელების გარდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, აგრეთვე, ბოდენის დოკუმენტის განხილვა, გამოკვეთილად იყო მხარდაჭერილი).

ქართველი დიპლომატის განცხადებამ სერგეი ბაგაფში "განარისხა": **"აფხაზეთში ქართველების არავითარი გენოციდი არ მომხდარა. გაერო-ში საქართველოს ელჩს ავადმყოფური წარმოდგენა აქვს. იგი ცდილობს, ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. ყველასთვის ცნობილია, რომ სწორედ საქართველო შეეცადა, აფხაზი ხალხის გენოციდი განეხორციელებინა. ადამია ცნობილი "ქორია" და კონსტრუქციული პოლიტიკოსი არასდროს ყოფილა. სამწუხაროა, რომ ამჟამად გაერო-ში საქართველოს ასეთი ადამიანები წარმოადგენენ."**

ამასთანავე, დე ფაქტო პრეზიდენტი ქართველი დიპლომატის კიდევ ერთ განცხადებას შეეხო, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო საზოგადოება უნდა შეეცადოს, აფხაზეთში დსთ-ს სამშვიდობო მისია გაერო-ს მმართველობის ქვეშ მყოფი სამშვიდობო ოპერაციით შეიცვალოს.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გაერო-ში საქართველოს ელჩის განცხადება საგარეო უწყებასთან შეთანხმებული იყო და მასში ახალი და განსხვავებული არაფერი თქმულა.

# „კოსოვოს შემთხვევა უნიკალურია"

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და გერმანიის ფედერალური კანცლერის ანგელა მერკელის შეხვედრა 4 თებერვალს გაიმართება. ამავე დღეს დაგეგმილია შეხვედრა ნატო-ს გენერალურ მდივან იაპ დე ჰოოპ სხეფერთან, პოლონეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრ რადოსლავ სიკორსკისთან, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან უილიამ რამსეისთან, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის, საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტ პიერ ლელუშთან, ეუთო-ს გენერალურ მდივან მარკ პერინ დე ბრიშამბოსთან.

პრეზიდენტი ეწვევა ბავარიის მიწის სახელმწიფო კანცელარიას და ბავარიის პრემიერ-მინისტრ ედმუნდ შტოიბერს შეხვდება. იგეგმება შეხვედრის გამართვა ბავარიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

*24 საათი*

# ბრიუსელში ვიზიტის შედეგები

*თებერვლის ბოლოს საქართველოს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ევროპის სახალხო პარტიის (ესპ) წევრი გახდება. "ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას, საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად, კიდევ ერთი ტრიბუნა ექნება; ახალგაზრდა ქართველ პოლიტიკოსებს კი - ევროპის წამყვანი ქვეყნების პარტიებისა და პარლამენტების საქმიანობის გაცნობის საშუალება," – აცხადებს "ნაციონალური მოძრაობის" სამდივნოს წარმომადგენელი ირაკლი ქავთარაძე.*

საქართველოს "ნაციონალური მოძრაობის" სამდივნომ (ირაკლი ქავთარაძე, დავით კირკიტაძე, ბიძინა ბრეგაძე) ევროპის სახალხო პარტიაში გაწევრიანების შესახებ მიმართვა 27-31 იანვარს, ბრიუსელში ვიზიტისას წარადგინა. პარტიის თავმჯდომარის ვილფრედ მარტენსის ინიციატივით, ესპ "ნაციონალური მოძრაობის" მიმართვას 23 თებერვალს განიხილავს. მარტენსმა "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს ოფიციალური წერილი გამოატანა და 30-31 თებერვლისთვის დანიშნულ პარტიის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტიც დაპატიჟა.

ევროპის სახალხო პარტია ევროკავშირში საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური ძალაა. პარტიაში 35 ქვეყნის 68 პარტიაა გაწევრიანებული. მათგან 18 პარტიის ხელმძღვანელი ქვეყნის პრეზიდენტია. ევროპარლამენტის 268 დეპუტატი და 9 ევროკომისარი ევროპის სახალხო პარტიის წევრია. ესპ სამ წელიწადში ერთხელ ატარებს სამიტებს, სადაც წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელებს საშუალება აქვთ, ერთმანეთს შეხვდნენ, ევროპის განვითარებაზე ისაუბრონ და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან ევროპის სახალხო პარტიაში მხოლოდ თურქეთია გაწევრიანებული.

**"ბრიუსელში ვიზიტამდე ევროპის სახალხო პარტიას ჩვენი პარტიის სამოქმედო პროგრამა გავუგზავნეთ. პარტიის ხელმძღვანელობამ ჩვენი პროგრამა მოიწონა და შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ევროპის სახალხო პარტიის წევრი ვართ. ეს ჩვენი პარტიისთვისაც და ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება. საქართველოს პრეზიდენტს ევროპის წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელებთან შეხვედრისა და საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება ექნება. ევროპის სახალხო პარტია ახალგაზრდა პარლამენტარების, პოლიტიკოსების გაცვლით პროგრამებს აფინანსებს. ჩვენს პოლიტიკოსებს საშულება ექნებათ, ევროპელი კოლეგების გამოცდილება გაიზიარონ. გარდა ამისა, ევროპის სახალხო პარტია არჩევნების დროსაც დაგვეხმარება, დამკვირვებლებს გამოგზავნის,"** – აცხადებს ირაკლი ქავთარაძე.

*24 საათი*

# ქუთაისში კიდევ ერთი შენობის ჭერი ჩამოინგრა

დიდთოვლობის გამო ქუთაისში კიდევ ერთი შენობის ჭერი ჩამოინგრა. რუსთაველის ქუჩაზე მდებარე "უნივერსამში" ჩამოწოლილმა სახურავმა მაცივარ-დანადგარების სათავსო დააზიანა.

უამინდობის გამო ქუთაისში გზებს სპეციალური ტექნიკა წმენდს. სამხარეო ადმინისტრაციასთან ერთად შენობების სახურავებს თოვლისგან მეორე ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცებიც წმენდენ.

"ქუთაისში ძირითად პრობლემად კვლავ სავალი გზების გასუფთავება რჩება. მობილიზებულია ტექნიკა - ხუთი ადგილობრივი და სამი საგზაო დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი გრეიდერი, მაგრამ სამუშაო საკმაოდ შრომატევადია და ეს ტექნიკა საკმარისი არ არის," - განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ იმერეთში გიორგი თევდორაძემ.

*მედიანიუსი*

# უნუგეშოდ დარჩენილი ქუთაისი

პირველი გვერდიდან

მარინა იმედაძემ ეს პრეტენზია ნინო ბურჯანაძეს პირადად უთხრა. მსგავსი შენიშვნები მაჟორიტარმა დეპუტატმა ყველა იმ ქუჩის მცხოვრებთაგან მიიღო, რომლებთანაც საგანგებო ვიზიტის დროს მისვლა და რამდენიმე წუთით გაჩერება მოახერხა. ძირითადად, ეს საუბრები ქალაქის ცენტრალურ უბნებში შედგა, სადაც გზების გაწმენდა გუშინ დილას იმერეთის სხვა რაიონებიდან მობილიზებული სპეცტექნიკით მოხერხდა. ქალაქის გარეუბნებში სატრანსპორტო მიმოსვლა დღემდე შეუძლებელია, რის გამოც პენსიონერთათვის ბანკები ერთი თვის კუთვნილი პენსიების მიტანასა და დარიგებას ვერ ახერხდებენ.

**"ფული არის, მაგრამ უგზობის გამო თანხის ტრანსპორტირებას ქუთაისის რამდენიმე უბნამდე ვერ ვახერხებთ. იგივე პრობლემები შეექმნათ საჩხერის, ჭიათურისა და ტყიბულის რაიონების სოფლების მოსახლეობას",** - აღნიშნავს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის მმართველი რეზო რობაქიძე "24 საათთან" საუბარში.

**"ქალაქს არ გააჩნია საკმარისი ტექნიკა გზების გასაწმენდად, სულ ოთხი სპეციალური მანქანა გვაქვს და ისინი მუდმივად ეწევიან ქუჩაში გამწმენდ სამუშაოებს, ამიტომ ცენტრალურ ხელისუფლებას ვთხოვთ დამატებით დაგვეხმაროს შესაბამისი ტექნიკა,"** - აცხადებს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე.

ცენტრალური ხელისუფლებიდან ქუთაისის მერიის თხოვნას თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი გამოეხმაურა, რომლის ბრძანებითაც 1 თებერვალს ქუთაისში თოვლისგან გამწმენდი სამუშაოების შესასრულებლად მე-2 ქვეითი ბატალიონის მობილიზაცია გამოცხადდა. ნიჩბებით შეიარაღებულმა 300-მდე ჯარისკაცმა ქალაქში არსებული საავადმყოფოების, სკოლების და კულტურული დაწესებულებების გადათოვლა. გადათოვლის პროცესი მერიისთვის პრიორიტეტული მას შემდეგ გახდა, რაც ქუთაისში შენობებმა ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს ნგრევა.



*ნინო ბურჯანაძე სტიქიით ბლოკირებულ ქუთაისში.*

31 იანვარს სოლომონ პირველის ქუჩის N47-ში განთავსებული საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხის ნგრევას 46 წლის მარინა ქობულაძის სიცოცხლე შეეწირა. მისი 12 წლის შვილის გადარჩენა მეზობლებმა პატრულის დახმარებით მოახერხეს. ნანგრევებში მოქცეული მარინა ქობულაძე სიკვდილს რამდენიმე საათის განმავლობაში ებრძოდა, რადგან დანიშნულების ადგილამდე "ამწეს" აყვანა თოვლისგან გაუკვალავი გზის გამო დაგვიანდა. მეორე დღეს თოვლმა ორი წლის წინ ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის მიერ საგულდაგულოდ გარემონტებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ფოიეს სახურავი ჩაანგრია, რის შედეგადაც 33-ე ბრიგადის რიგითი ჯარისკაცი ბექა ბერიძე მსუბუქად დაშავდა. 2 თებერვალს კი ზედიზედ ორი სავაჭრო ცენტრის სახურავი მოწყდა, თუმცა ორივე შემთხვევა მხოლოდ სოლიდური მატერიალური ზარალით დასრულდა...

ოთხი დღის განმავლობაში დიდთოვლობის შედეგად ქუთაისში 10-მდე შენობა დაინგრა. ნგრევის პროცესის შესაჩერებლად ქუთაისის მთავრობამ და მაჟორიტარმა დეპუტატმა მოსახლეობას ნიჩბების მომარჯვებისა და საკუთარი სახლების საკუთარი ხელითვე გადარჩენისაკენ მოუწოდა.

სახლების ნგრევისა და გზების ჩახერგვის გარდა დიდთოვლობამ ქუთაისის მოსახლეობას სხვა, არანაკლებ მძიმე პრობლემები მოუტანა. ერთი კვირით ადრე ბუნებრივი აირი შეწყდა. თოვლის საფარის მომატების შედეგად ქუთაისში შემომავალი ყველა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი დაზიანდა, რის შემდეგაც ელექტროენერგიის გარეშე სასიცოცხლო ობიექტებიც კი დარჩა. ერთი დღის განმავლობაში ქუთაისში პურის საცხობებიც გაჩერდა. ელექტროენერგიის გათიშვის შედეგად მოსახლეობას წყლის მიწოდებაც შეუწყდა.

შექმნილი პრობლემებიდან გამოსავლის ძიებას პარლამენტის თავმჯდომარე მერიაში საგანგებო თათბირზე შეუდგა. თათბირიდან გამოსული ბურჯანაძე საკუთარ ამომრჩევლებს ენერგოკრიზისისა და წყლის დეფიციტის პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

**"მე ვესაუბრე პრემიერ-მინისტრს და მივაღწიე შეთანხმებას, რომ ელექტროენერგიის დავალიანების 50 პროცენტის დაფარვის შემთხვევაში, აბონენტებს აღუდგებათ ელექტროენერგიის მიწოდება და ხვალიდან ქუთაისის მოსახლეობის 80 პროცენტს ექნება სრული ენერგომომარაგება. ამ საღამოსვე მიეწოდება მოსახლეობის უმეტესობას წყალი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თავდაცვის სამინტროსთან შეთანხმებით, დამატებით 250 ჯარისკაცის მობილიზება მოხდება ქუთაისში",** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

ქუთაისში ხელისუფლების დაპირებების უკვე ნაკლებად სჯერათ და ახლა მხოლოდ ამინდის გაუმჯობესების იმედი აქვთ. ათდღიანი თოვლის შემდეგ ქუთაისში გუშინ პირველად გამოიდარა. გუშინწინ კი მოსახლეობას გაზის მიწოდება აღუდგა.

# ერთი წელი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებიდან

*საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ერთი წელი გავიდა. ამ დოკუმენტს ოპონენტები მისი მიღების პროცესშიც და შემდეგაც მრავლად ჰყავდა, თუმცა კოდექსის პრაქტიკაში გამოყენებამ მასში დაშვებული ხარვეზები უფრო თვალსაჩინო გახადა. რა იმალებოდა მთავრობის მიერ ლიბერალურ კოდექსად მონათლული დოკუმენტის უკან? - ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად "24 საათმა" მეწარმეებს და ეკონომისტებს მიმართა.*

დიანა ჩაჩუა

ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული ბიზნესსაბჭო, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, საგადასახადო კოდექსის უარყოფით მხარეებს სწავლობს და აანალიზებს, ხელისუფლების მხრიდან ექსპერტთა მიერ გამოთქმული შენიშვნების აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს.

სწორედ აღნიშნული ბიზნესსაბჭოს მდივნის გიორგი ისაკაძის ინიციატივით ამოიღეს საგადასახადო კოდექსიდან საქონლის მოძრაობისა და აღრიცხვის ჟურნალთან დაკავშირებული მუხლი, რომელსაც, მეწარმეების განცხადებით, შეფერხების გარდა, არანაირი დატვირთვა არ გააჩნდა. პრეზიდენტმა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ ბრძანებულებას ორი დღის წინ მოაწერა ხელი.

**"XXI საუკუნეში სრულიად გაუგებარია, რა ფუნქციას ასრულებს საბჭოური გადმონაშთის სახით არსებული, საქონლის მოძრაობისა და აღრიცხვის ჟურნალი. მაშინ, როცა ამ ეტაპისთვის უახლოესი ტექნოლოგიები არსებობს,"** - აცხადებს ბიზნესმენთა ფედერაციის გენერალური მდივანი და პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული ბიზნესსაბჭოს მდივანი გიორგი ისაკაძე.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ექსპერტთა დიდი ნაწილი ახალი კოდექსის დადებით მხარეებზეც ამახვილებს ყურადღებას და აღიარებს, რომ არსებული კოდექსი, წინამორბედთან შედარებით, მკვეთრად პროგრესულია. მთავარი სიახლე და დადებითი მოვლენა კი ამ კოდექსში 21 გადასახადის 7-მდე შემცირება და რამდენიმე საგადასახადო განაკვეთის შემცირება იყო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსით, ქონების გადასახადმა თავის თავში მოიცვა ადრე არსებული, საწარმოთა და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეთა გადასახადი, ასევე დაემატა ახალი ქვესახეობა თვითმფრინავების, შვეულმფრენების და იახტების (კატარღების) მესაკუთრეთა გადასახადის სახით; საშემოსავლო გადასახადმა თავის თავში მოიცვა ადრე არსებული ქონების გადაცემისათვის გადასახადი, გადაცემული ქონების ფასთაშორის სხვაობის სახით. ამიტომაც, ექსპერტების შეფასებით, გადასახადების ოდენობის სამჯერ შემცირების თაობაზე მსჯელობა, გარკვეულწილად, პირობითია. რეალურად, გადასახადების რაოდენობა 21-დან მხოლოდ 11-მდე შემცირდა.

კიდევ ორი პლიუსი, რაც, ექსპერტების აზრით, ხელისუფლების მიერ "ლიბერალურად" წოდებულ საგადასახადო კოდექსს გააჩნია: **"ცალსახად ჩამოყალიბდა დავების განხილვის პროცედურები და სტადიები. ადმინისტრირების ლიბერალიზაციის მიზნით, ვადაგადაცილებული დავალიანებებისათვის საურავის პროცენტი 0.15-დან (წლიური 54.7) 0.07-მდე (წლიური 24.1) შემცირდა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარემ დავით ნარმანიამ.

დავით ნარმანიას მთავარი შენიშვნა კოდექსში აღრიცხვიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა. შესაბამისად, ის მიესალმება საქონლის მოძრაობისა და აღრიცხვის ჟურნალის გაუქმების ფაქტს, თუმცა, ნარმანიას აზრით, მეწარმეებისთვის ერთ-ერთ ნომერ პირველ პრობლემად კვლავ დავების გადაწყვეტის წესი რჩება. **"მეწარმეები, ძირითადად, საგადასახადო ადმინისტრაციის საქმიანობაზე ჩივიან. მათი აზრით, საგადასახადო ადმინისტრაციაზე ისევ საგადასახადო ორგანოში საჩივრის შეტანა არაეფექტურია. ჯერჯერობით, ამ საკითხის გადახედვაზე არანაირი საუბრები არ მიმდინარეობს. ისიც ფაქტია, რომ მსგავსი დავები უმეტესად საგადასახადო ორგანოს სასარგებლოდ წყდება ხოლმე,"** - მიიჩნევს დავით ნარმანია. კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება თამბაქოს აქციზის განაკვეთის საკითხი. შეგახსენებთ, რომ ახალი კოდექსით, საგადასახადო განაკვეთების შემცირების პარალელურად, საგრძნობლად გაიზარდა აქციზი თამბაქოზე. თუმცა, ამჟამად მთავრობაში აქციზის განაკვეთის შემცირებაზე მუშაობენ. **"ისეთ პირობებში, როცა საქართველოს საზღვრის გარკვეული ნაწილი დაუცველია, არსებული აქციზის განაკვეთების მქონე ქვეყანა კონტრაბანდას ვერ გაუმკლავდებოდა. შემდეგ, როცა აქციზის განაკვეთი გაიზარდა, კონტრაბანდის მასშტაბებმა უფრო იმატა. შესაბამისად, აქციზის შესამცირებლად დაწყებული მუშაობა მისასალმებელია,"** - აღნიშნავს ექსპერტი.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის პირველი ივლისიდან დამატებითი ღირებულების გადასახადი 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირდა, რაც ახალი საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთ დადებით მომენტად შეფასდა. თუმცა, ექსპერტების შეფასებით, ამ შემცირებამ ფასებზე სერიოზული ასახვა მაინც ვერ ჰპოვა. **"სხვა თანაბარ პირობებში, რიგ პროდუქტებზე, მაგალითად საწვავზე, ფასების ზრდამ სხვა პროდუქტების ფასებზე ადეკვატური ასახვა ჰპოვა. ამიტომაც ამ ორპროცენტიან შემცირებას ბაზარზე ფასების საგრძნობი შემცირება არ მოჰყოლია,"** - აღნიშნა დავით ნარმანიამ "24 საათთან" საუბარში.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რამაც ადგილობრივი დონის ბიუჯეტები, ფაქტობრივად, ძირითადი შემოსავლის წყაროს გარეშე დატოვა: მოგეხსენებათ, მიმდინარე წლიდან ძალაში შევიდა საგადასახადო ცვლილება, რომლის თანახმადაც, მოგების გადასახადი 100 პროცენტით, ადგილობრივის ნაცვლად, ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხება. ამ ფაქტს ცენტრალური ხელისუფლება იმით ხსნის, რომ ამიერიდან რეგიონებში განათლების და ჯანდაცვის ღონისძიებებს თავად დააფინანსებს. თუმცა, დავით ნარმანიას მთავრობის ამ არგუმენტის მართებულობაში ეჭვი ეპარება. **"ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების წყაროების საკითხი გადასახედია. რეგიონების, განსაკუთრებით კი, სოფლის, თემისა და დაბის ბიუჯეტებისთვის სერიოზული დარტყმაა ის ფაქტი, რომ მხოლოდ ორი ადგილობრივი გადასახადია დარჩენილი. ადგილობრივ ბიუჯეტებს შემოსავლების მეტი წყარო უნდა ჰქონდეთ. მათ ძალიან ფართო კომპეტენციები აქვთ, რასაც სათანადოდ ველარ აფინანსებენ. ეს, ალბათ, პოლიტიკური ნაბიჯი უფრო იყო, ვიდრე კონკრეტულ ეკონომიკურ გათვლებზე დამყარებული გადაწყვეტილება,"** - მიიჩნევს "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარე.

ახალი საგადასახადო კოდექსისთვის კვლავ პრობლემად რჩება საგადასახადო კოდექსის და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტების სირთულე და ორმაგი გაგების მქონე დებულებების არსებობა. ამის შესახებ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია საგადასახადო კოდექსზე მომზადებულ რეკომენდაციებში მიუთითებს. სხვათა შორის, ფედერაცია პერიოდულად ბიზნესმენების და საგადასახადო ორგანოების შეხვედრებს აწყობს, რის შედეგადაც მთავრობისთვის რეკომენდაციებს ამზადებს. ფედერაციის მიერ "24 საათისთვის" მოწოდებული შენიშვნების სია საკმაოდ გრძელია და შემდეგ მუხლებს ეხება: "საგადასახადო კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები", "საგადასახადო ორგანოების ვალდებულებები", "გადასახადის გადახდის ვადები", "ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხების უკან დაბრუნება", "საგადასახადო კონტროლი", "საგადასახადო სამართალდარღვევები და პასუხისმგებლობა", "საგადასახადო დავა", "დასაბეგრი ოპერაციის თანხა", "უკუდაბეგვრა", "დღგ-ს ჩასათველელი თანხა", "აქციზის განაკვეთები", "ქონების გადასახადის განაკვეთები" და სხვა.

**"მნიშვნელოვან გადამუშავებას და დახვეწას საჭიროებს საგადასახადო შემოწმების წესები, რადგან გადასახადის გადამხდელი, შესაძლებელია, მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში შემოწმების პროცესში იყოს. ამიტომ მიზანშეწონილია, კოდექსით გაფართოებული ფორმით წარმოდგენილი კამერალური შემოწმება გასვლით საგადასახადო შემოწმებას გამორიცხავდეს და პირიქით,"** - აღნიშნავს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი მდივანი გიორგი ისაკაძე და იქვე იმასაც დასძენს, რომ დაზუსტებას საჭიროებს საგადასახადო დავის განხილვის წესები, რაც მეწარმეებში ყველაზე დიდ უკმაყოფილებას იწვევს. კერძოდ, მისი ინიციატივით, დავის განხილვის წესი სამი ეტაპის ნაცვლად, ორ ეტაპად განხილვას უნდა ითვალისწინებდეს. **"ამით გადასახადების ადმინისტრირების პროცესიდან ფინანსთა სამინისტროს გამოყვანა იქნება უზრუნველყოფილი. დაზუსტებას მოითხოვს დავების არბიტრაჟში განხილვის წესიც, მისი ეფექტიანობის მხედველობაში მიღებით,"** - მიიჩნევს ისაკაძე. და კიდევ ერთი: ექსპერტი ცალკეულ აქციზურ საქონელზე აქციზის ოპტიმალური განაკვეთების შემუშავების მომხრეა.

რას ფიქრობენ ახალ საგადასახადო კოდექსზე თავად მეწარმეები? - "24 საათი" ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად რამდენიმე სფეროს წარმომადგენლებს დაუკავშირდა:

**ნავთობი და ნავთობპროდუქტების სექტორი:** გადასახადების რაოდენობის და განაკვეთების შემცირებას ამ სფეროშიც კოდექსის უდავოდ დადებით მხარედ მიიჩნევენ. **"განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკოლოგიის გადასახადის გაუქმება, რადგან ის ნავთობპროდუქტების ბიზნესსექტორში დასაქმებულ კომპანიებს პრობლემებს უქმნიდა,"** - მიაჩნიათ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში. აღსანიშნავია, რომ საქონლის მოძრაობისა და აღრიცხვის ჟურნალის არსებობა პრობლემებს ნავთობპროდუქტების სფეროში დასაქმებულ მეწარმეებსაც უქმნიდა, თუმცა კავშირის თავმჯდომარის ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, ამ ჟურნალების გაუქმებით საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა არ გამარტივებულა.

კავშირი თავის დროზეც და ახლაც ითხოვს, რომ კოდექსში ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგების შესახებ ნორმები იქნეს გათვალისწინებული. **"აღნიშნული ნორმების არარსებობით ზარალდება მეწარმე, რომელიც გადასახადს არარსებულ საქონელზე იხდის. შემდეგ ის ამ თანხას პროდუქციის ღირებულებაში ასახავს, რითიც მატულობს საწვავის ღირებულება და, შესაბამისად, მომხმარებელი ზარალდება,"** - აცხადებს მთვრალაშვილი.

კავშირის მიერ ასევე არაერთხელ იქნა დასმული იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე დანაკლისის საკითხი. მათი განცხადებით, რკინიგზით შემოსულ ნავთობპროდუქტებზე დანაკლისი თითქმის სისტემატური ხასიათისაა, რაც უარყოფითად მოქმედებს მეწარმის საქმიანობაზე და პროდუქციის თვითღირებულების ზრდას იწვევს. **"ტვირთის დანაკლისის გარდა, კომპანიები ზედმეტად გადახდილი თანხითაც ზარალდებიან. მიგვაჩნია, რომ საგადასახადო ორგანოებიდან გადასახადების სახით ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნება ან მომავალი ანგარიშსწორების დროს ჩათვლა უნდა მოხდეს,"** - აცხადებენ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში.

**პური და პურპროდუქტების სექტორი:** ეს ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, რომლისთვისაც ახალ საგადასახადო კოდექსს სერიოზული შვება და შეღავათები არ მოუტანია. "მზეკაბანის" კომერციული დირექტორი ირაკლი გელაშვილი, ისევე როგორც მისი კოლეგები, ნედლეულის დღგ-სგან გათავისუფლებას და ფალსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ. **"ნედლეულზე გადასახადს რომ არ ვიხდიდეთ, დღგ-ს სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ, მეტი ნედლეულის შემოტანას შევძლებდით. ამ შემთხვევაში ნედლეულიც და პროდუქტიც გაცილებით იაფი დაჯდებოდა,"** - აღნიშნა ირაკლი გელაშვილმა.

**გადამზიდველები:** ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებიდან პირველი წელი გამორჩეული არც გადამზიდავი კომპანიებისთვის ყოფილა. "კავკასტრანსექსპრესის" კომერციული დირექტორის ნიკო ზარდიაშვილის ინფორმაციით, კოდექსში მათთვის გათვალისწინებული ერთადერთი ცვლილება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრას ეხება. ცნობისათვის, ადრე გადამზიდავი კომპანიები აღნიშნული გადასახადისგან გათავისუფლებულები იყვნენ. თუმცა, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ცვლილება გადამზიდველებისთვის სასიკეთოდ ითვლება. და კიდევ ერთი: ნიკო ზარდიაშვილი მთავრობას საგადასახადო კოდექსში საერთაშორისო გადაზიდვების ცნების დახვეწას სთხოვს.

**მცირე და საშუალო ბიზნესი:** მცირე და საშუალო სავაჭრო-სამრეწველო მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარის ნინო მამუკელაშვილის აზრით, საგადასახადო კოდექსის ხარვეზების განცალკევებით განხილვა მართებული არ არის, რადგან კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ ფინანსთა სამინისტრომ უამრავი ქვენორმატიული აქტები მიიღო. ეს კი, მამუკელაშვილის აზრით, კოდექსის აღსრულებლობას და, საბოლოო ჯამში, ბიზნესის საქმიანობას ართულებს.

მთლიანობაში, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით, მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე კოდექსში ვერაფერს ხედავს. მეტიც, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირება ამ სექტორისთვის აზრსაც კი კარგავს. **"საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 12 პროცენტამდე შემცირება დიდი კომპანიებისთვის ნამდვილად შვებაა. თუმცა, როდესაც საწარმოში მხოლოდ 20 თანამშრომელი გყავს, განაკვეთის შემცირებით მიღებული შეღავათი სასაცილო თანხა გამოდის და აზრს კარგავს. სასურველია, რომ მცირე მეწარმეები გარკვეული დროის განმავლობაში მაინც იყვნენ გადასახადებიდან გათავისუფლებულნი. სამწუხარო და არასწორია, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში ხელისუფლებამ მსხვილი და მცირე ბიზნესი ერთმანეთს გაუთანაბრა,"** – ამბობს ნინო მამუკელაშვილი.

## მოკლედ

### ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი თურქეთში

პრემიერთან ერთად, ქართული დელეგაციის შემადგენლობაში არიან ენერგეტიკის და ეკონომიკური განვითარების მინისტრები, ასევე ბიზნესმენები.

ვიზიტის პირველივე დღეს ნოღაიდელი სამუშაო საუზმეს გამართავს თურქეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატებისა და ბირჟების გაერთიანების პრეზიდენტ რიფათ ჰისარ ჯიქლიოღლუსთან. მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრი სარფის საბაჟო ტერმინალის მშენებლობის პრეზენტაციას დაესწრება, შეხვდება თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრ ქიურშად თიუზმენს, წამყვან თურქ ბიზნესმენებთან სამუშაო ლანჩს გამართავს.

4 თებერვალს სტამბოლში, სასტუმრო "კონრადში" დაგეგმილია თურქეთ-საქართველოს ბიზნესფორუმი, სადაც ძირითადი მიმართულებები ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის, ტელეკომუნიკაციებისა და საბანკო სექტორი იქნება.

დღის ბოლოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი თურქ კოლეგას რეჯეფ თაიფ ერდოგანს შეხვდება.

5 თებერვალს ნოღაიდელი სამუშაო საუზმეს გამართავს სტამბოლის მერთან ქადირ თოფბაშთან. მოგვიანებით კი, ინტერვიუებს მისცემს თურქულ და მსოფლიოს წამყვან ტელეკომპანიებს და გაზეთებს.

ვიზიტის დროს ზურაბ ნოღაიდელი სადილს გამართავს ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. იგეგმება შეხვედრა "ნუროლ ჰოლდინგ"-ის პრეზიდენტ ნურეთინ ჩარმიქლისთან. დღის ბოლოს გაიმართება სამუშაო სადილი "მარმარა ჯგუფის" წარმომადგენლებთან.

საქართველოს დელეგაცია თურქეთს 5 თებერვალს, გვიან ღამით დატოვებს. **ინტერპრესნიუსი**

### სალომე ზურაბიშვილი საქართველოს განვითარების პროგრამაზე მუშაობს

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს მომავალი განვითარების პროგრამას დღეს, პარტიის დამფუძნებელ სხდომაზე წარადგენს. "პროგრამის გამოქვეყნება ჩემი მხარდამჭერების და თანამოაზრეების გამოვლენას დააჩქარებს," - აცხადებს ზურაბიშვილი და დასძენს, რომ თუკი საზოგადოება არ გაძლიერდება და ხელისუფლების რეალურ მაკონტროლებელ ძალად არ იქცევა, ნებისმიერი ხელისუფლების დამარცხება გარდაუვალი იქნება. დღევანდელი ხელისუფლების წარუმატებლობის მიზეზად ზურაბიშვილს საზოგადოების პასიურობა მიაჩნია.

სალომე ზურაბიშვლი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. მის უახლოეს გეგმებში პოლიტიკური ჟურნალის გამოცემაც შედის. "ჩემი მიზანია, 21-ე საუკუნის საქართველოში ბოლშევიკურ პოლიტიკურ მეთოდებს ცივილური პოლიტიკური მეთოდები ჩავანაცვლო," - აცხადებს ზურაბიშვილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თბილისის ისტორიულ ზონაში განაშენიანებაზე არქიტექტურული საბჭო იზრუნებს

გუშინ თბილისში, "მეიდანკლუბში" კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და თბილისის მერიის გაერთიანებული არქიტექტურული საბჭოს პრეზენტაცია გაიმართა. მას კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, თბილისის პრემიერი თემურ ქურხული, სამინისტროსა და მერიის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

როგორც გიგი უგულავამ აღნიშნა, საბჭო მერიის სათათბირო ორგანო იქნება. მასში პარიტეტული პრინციპით კულტურის სამინისტროსა და მერიის რვა ექსპერტი გაერთიანდა. ისინი განიხილავენ ყველა ახალი მშენებლობის პროექტს, რომელიც თბილისის ისტორიულ ზონაში უნდა განხორციელდეს. საბჭოს განხილვისა და რეკომენდაციების შემდეგ კი პროექტი დასამტკიცებლად ქალაქის არქიტექტურის სამსახურს გადაეგზავნება. როგორც გიგი უგულავამ აღნიშნა, დღემდე მსგავსი სათათბირო ორგანოები მერიასა და კულტურის სამინისტროში ცალ-ცალკე არსებობდა. შესაბამისად, ისინი პროექტებსაც ცალცალკე განიხილავენ, ანუ ეს პროცესი გართულებული იყო. საბჭოს შექმნის მიზანი ქალაქის ისტორიული იერ-სახის შენარჩუნება და, ამავდროულად, ისტორიული ზონის განვითარებაა. განვითარება კი აქ კერძო კაპიტალის მოზიდვით უნდა მოხდეს. **მედიანიუსი**

### ქართველმა მეთევზეებმა შავი ზღვის სანაპიროზე დახოცილი გარეული იხვები იპოვეს

ფრინველები შესამოწმებლად ქათმის გრიპის საწინააღმდეგო სპეციალური შტაბის თანამშრომლებმა ბათუმის ვეტერინარულ ლაბორატორიაში გადაიტანეს. 10 ფრთა იხვის სიკვდილის მიზეზს პირველ ეტაპზე ბათუმის ვეტლაბორატორია დაადგენს. ქათმის გრიპის ვირუსზე ეჭვის შემთხვევაში მასალას თბილისს მიაწვდიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# „თურქული კრედიტით“ პარლამენტი ისევ დაინტერესდა

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო ვალის რანგში აყვანილი “თურქული კრედიტის” შეღავათიან პირობებში დაფარვის საწინააღმდეგო არც უმრავლესობას და არც ოპოზიციას, ცხადია, არაფერი აქვს. დეპუტატები ერთხმად აცხადებენ, რომ ხელშეკრულების რატიფიცირებას აუცილებლად დაუჭერენ მხარს. დავას და კამათს იწვევს კითხვა: კრედიტის დაფარვის მთელი სიმძიმე რატომ უნდა დააწვეს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტს და რატომ უნდა გამოვიდნენ “მშრალად” ისინი, ვინც თავის დროზე კრედიტი მიიღო, მაგრამ მისი დაფარვა ვერ უზრუნველყო.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე რამდენჯერმე დასახელდა ის რვა სუბიექტი, რომელთა შორისაც “თურქული კრედიტი” გადანაწილდა. ესენი არიან: ყოფილი კავშირგაბმულობის სამინისტრო, ყოფილი ვაჭრობის სამინისტრო, პურპროდუქტების კორპორაცია, შულავერის მატყლის ფაბრიკა, “რუსთავცემენტი”, “კოკა-კოლა”, “არაგვი” და “გევა”. ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვალების მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელის იოსებ სხირტლაძის განცხადებით, ამ ორგანიზაციების უმეტესობას, სხვადასხვა დროს, ვალი ჩამოეწერა, მისი დაფარვის ვალდებულება თავის თავზე სახელმწიფომ აიღო და ამჟამად ასეთი ვალდებულება მხოლოდ “კოკა-კოლას” და “რუსთავცემენტს” აკისრია. თუმცა, როგორც ირკვევა, ფინანსთა სამინისტროსა და “კოკა-კოლას” შორის დღემდე არ არის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება, რადგან “კოკა-კოლას” ხელმძღვანელობა ვალს არ თანხმდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ფინანსთა სამინისტრომ “კოკა-კოლას” წინააღმდეგ საოლქო სასამართლოში ჯერ კიდევ 2003 წელს შეიტანა სარჩელი, მაგრამ მისი განხილვა დღემდე არ დასრულებულა.



"თურქული კრედიტის" თემას პოლიტიკოსები დროდადრო "იყენებენ".

დეპუტატ ზურაბ ტყემალაძის აზრით, ვიდრე პარლამენტი “პარიზის კლუბში” გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიცირებას მოახდენს, უნდა გაირკვეს, როგორ აპირებს ხელისუფლება კერძო ორგანიზაციებისგან ვალების ამოღებას. **“თავს ვიტყუებთ, როდესაც “ურა-ურას” ვიძახით, “პარიზის კლუბმა” ვალი გადაგვივადაო. იმის თქმა, რომ, მაგალითად, პურკომბინატი დოტაციური იყო და ამიტომ მისი ვალები მთლიანად უნდა ჩამოიწეროს, გაუმართლებელია. დავუშვათ, პურკომბინატს ერთი პური 30 თეთრი დაუჯდა და მხოლოდ 15 თეთრად გაყიდა, მაგრამ რაღაც თანხა ხომ მაინც ამოიღო და ამ თანხით სესხი ნაწილობრივ მაინც რატომ არ დაფარა?”** - კითხულობს ტყემალაძე. მისთვის მიუღებელია ის, რომ კერძო ფირმების ვალები სახელმწიფომ თავისად აღიარა, მათ ამოსაღებად კი არაფერს აკეთებს.

გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს შეკითხვები საპარლამენტო უმრავლესობის წევრებსაც გაუჩნდათ.

**“რატომ არ არის დაყადაღებული მოვალეების ქონება? რატომ იწელება უსასრულოდ სასამართლო პროცესები?”** - გაურკვევლობაშია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე.

**“ვინც სესხებით ისარგებლა, მათი დაფარვის ვალდებულებისგან ყველა რატომ უნდა გათავისუფლდეს?”** - აინტერესებს “ნაციონალ” ელდარ კვერნაძეს.

საკომიტეტო მოსმენის ბოლოს დეპუტატები მხოლოდ ერთ რამეზე შეთანხმდნენ: რადგან ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირებას თურქული კრედიტის ამოღებასთან არაფერი აქვს საერთო, საკითხი ორად უნდა გაიყოს - დოკუმენტის რატიფიცირებას პრობლემა არ უნდა შეექმნას, სესხების ამოღება კი ცალკე მსჯელობის საგანი გახდეს. გამორიცხული არ არის, დაისვას სამუშაო ჯგუფის ან კომისიის შექმნის საკითხი, რომელიც თურქეთის ვალის საკითხს კიდევ ერთხელ მიუბრუნდება.

ასე რომ, “თურქული კრედიტის” თემას ახლო მომავალში გაგრძელება ექნება.

# მთავრობა თამბაქოზე აქციზს ამცირებს

პირველი გვერდიდან

აქციზის განაკვეთის შემცირება კი სწორედ ამ სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ნაწილია, რაც, ხელისუფალთა რწმენით, ქვეყანაში კონტრაბანდის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. **“ამ ცვლილებას, სულ ცოტა, სამი დადებითი ტენდენცია მოჰყვება. კერძოდ, ბიუჯეტში ლეგალური გაზრდილი თანხების შედინება, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან კონტრაბანდული სიგარეტის შემოდინების შემცირება და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებისთვის მომგებიანი ბიზნესის ჩავარდნა. საუბარია იმაზე, რომ ყველაზე მეტი კონტრაბანდული საქონელი სწორედ ამ ზონიდან შემოდის,”** - ასე განმარტა მოსალოდნელი ცვლილების შედეგები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე.

თუ რა მოცულობით შეიძლება შემცირდეს თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთი, ეს საბოლოოდ დაზუსტებული არ არის. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ დროისთვის საუბარია 50 თეთრზე. თუმცა ერთი რამ წინასწარ ცხადია, ფინანსთა სამინისტროს თამბაქოს ადგილობრივი მწარმოებლებისა და იმპორტიორების დაბეგვრა აქციზის თანაბარი განაკვეთით სურს. **“ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ დიფერენციაცია არ უნდა იყოს. თუმცა, საბოლოოდ გადაწყვეტილება მაინც პარლამენტმა უნდა მიიღოს,”** - გვითხრა ლაშა გოცირიძემ, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

აქციზით თანაბრად დაბეგვრა - სწორედ ეს აშფოთებთ ადგილობრივ მწარმოებლებს, რაც, მათივე თქმით, ქართული თამბაქოს წარმოებას საბოლოოდ დაასამარებს.

შპს “საქართველოს თამბაქოს წარმოების” გენერალური დირექტორი დავით ღვინეფაძე ამბობს, რომ მისი წარმოება და, შესაბამისად, გაყიდვები, ახალი საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ დაახლოებით 100-ჯერ შემცირდა. ღვინეფაძის აზრით, მთავრობის გადაწყვეტილებამ შესაძლოა მისი წარმოების კიდევ ამდენივეთი შემცირება, ან უარეს შემთხვევაში ქარხნის სრული პარალიზება გამოიწვიოს. **“თუკი ჩვენ და იმპორტიორებს ერთნაირი განაკვეთი გვექნება, ასეთ პირობებში ჩვენს მუშაობას აზრი არ ექნება. ჩათვალეთ, რომ ქარხანა უნდა დაკეტო,”** - უთხრა “24 საათს” დავით ღვინეფაძემ.

იქნება თუ არა აქციზის განაკვეთის თუნდაც 50 თეთრამდე შემცირება კონტრაბანდისტების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური გზა? ამ კითხვაზე ცვლილებების ავტორებსა და ადგილობრივ მეწარმეებს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ. ლაშა გოცირიძე ამბობს, რომ აქციზზე განაკვეთების შემცირება კონტრაბანდისტებისთვის საუკეთესო ანტისტიმულატორი გახდება, რაც, თავის მხრივ, ბიზნესის სრულად თუ არა, 90 პროცენტით ლეგალიზებას გამოიწვევს. **“სწორედ ამის გამო ვფიქრობთ, რომ ბიუჯეტის ამ ნაწილში შემოსავლების შემცირება არ გვემუქრება. შეიძლება ითქვას, პირიქით, გარკვეული პერიოდის შემდეგ შემოსავლები გაიზრდება კიდეც,”** - განმარტავს გოცირიძე.

ასეთ ოპტიმიზმს არ იზიარებენ ქართველი მწარმოებლები. ისინი ამბობენ, რომ აქციზის განაკვეთის 50 თეთრამდე შეცირება კონტრაბანდას უმნიშვნელოდ თუ შეამცირებს. მათი არგუმენტი ამ შემთხვევაში ასეთია: თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთი მეზობელ სახელმწიფოებში, საქართველოსთან შედარებით, ერთი-ორად დაბალია (მაგალითად, რუსეთში ეს განაკვეთი 5-7 ცენტის ფარგლებში მერყეობს). დაუცველი საზღვრები (აფხაზეთი, ცხინვალი) კი კონტრაბანდისტებისთვის ყოველთვის “საუკეთესო” საშუალებაა.

თამბაქოს მწარმოებლები გამოსავალს აქციზის განაკვეთის ძველ ნიშნულამდე, ანუ 25 თეთრამდე დაყვანაში ხედავენ. და კიდევ ერთი, **“აქციზის განაკვეთის სხვაობა ჩვენსა და იმპორტიორებს შორის 25-30 თეთრი მაინც უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, ადგილობრივ წარმოებას საფრთხე ემუქრება,”** - ამბობს შპს “საქართველოს თამბაქოს წარმოების” გენერალური დირექტორი.

ადგილობრივი წარმოების გაჩერების საშიშროებაზე ეკონომიკური ექსპერტების ერთი ნაწილიც ხმამაღლა საუბრობს. მათი თქმით, თამბაქოს ქართველი მეწარმეები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდებიან, თუკი ისინი იმპორტიორების მსგავსად დაიბეგრებიან. **“ძალიან ბევრ ქვეყანაში აქციზი იმპორტირებულზე ყოველთვის ცოტათი მეტია, რაც სამართლიანი და სწორი დამოკიდებულებაც არის. თუ ხელისუფლება ფიქრობს იმაზე, რომ განავითაროს და წაახალისოს ადგილობრივი წარმოება, მათთვის აქციზის განაკვეთი შედარებით ლიბერალური უნდა იყოს,”** - აღნიშნა “24 საათთან” საუბრის დროს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ დავით ნარმანიამ.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამბაქოს იმპორტიორი კომპანიები მთავრობის მიერ დაგეგმილ ცვლილებებს მიესალმებიან. როგორც "Ffilip moris menejment servisez b.v."-ს საქართველოს წარმომადგენლობაში "24 საათს" განუცხადეს, კომპანია მხარს უჭერს მთავრობის ძალისხმევას, გამოასწოროს ამჟამინდელი მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში ბიზნესის ყველა მწარმოებლისთვის თანაბარი შესაძლებლობების და თავისუფალი კონკურენციის გარემოს შექმნის მცდელობას სრულიად სამართლიანს და, მეტიც, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) დებულებებით განსაზღვრულს უწოდებს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კომპანია საქართველოში როგორც იმპორტს, ასევე ზოგიერთი თავისი ბრენდის ადგილობრივი წარმოების ლიცენზირებას ახორციელებს. რაც შეეხება იმას, მოსალოდნელია თუ არა აქციზის განაკვეთის შემცირების შემდეგ ბაზარზე თამბაქოს ნაწარმზე ფასების შემცირება, "Ffilip moris menejment servisez b.v."-ს საქართველოს წარმომადგენლობაში ასე აცხადებენ: **"ჩვენ არ გამოვთქვამთ ვარაუდებს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიცვლება სააქციზო განაკვეთი და ფასების სამომავლო სტრატეგიაზეც არ ვაკეთებთ კომენტარს."**

ცნობისათვის: სხვადასხვა არაოფიციალური მონაცემებით, დღეს ბაზრის ამ სეგმენტზე კონტრაბანდას 50-60 პროცენტი უკავია, რომლის ძირითად წყაროდ კვლავაც საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიები, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რჩება. ეკონომიკური ექსპერტები და თაბაქოს ადგილობრივი მწარმოებლები ამბობენ, რომ კონტრაბანდა ქართულ ბაზარზე ახალი საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია ერთ-ერთი მათგანია, ვინც თავის დროზე კოდექსში აქციზის გაზრდილ განაკვეთებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. შეგახსენებთ, რომ ძველი კოდექსით, თამბაქოს აქციზი ადგილობრივზე 25 თეთრით, იმპორტირებულზე კი 50 თეთრით იყო განსაზღვრული. ახალ კოდექსში ის, შესაბამისად, 70 და 90 თეთრით გაიზარდა.

ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე აქციზის შემცირების თაობაზე მთავრობის სურვილს დადებითად აფასებს, თუმცა ამბობს, რომ განსხვავება იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის აუცილებლად უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, ამას გარკვეული უარყოფითი შედეგები მოჰყვება. **“ახალი კოდექსით ადგილობრივი ბაზრის კონტრაბანდისგან დაცვა ძალიან გართულდა. ზუსტად ვერ გეტყვით, რა მასშტაბით მოხდება ბაზრის ლეგალიზება, თუმცა ერთი რამ ცხადია - აქციზზე განაკვეთის შემცირება ძალიან სწორი ნაბიჯია, რადგან თუ პოლიტიკურად ვერ აგვარებ საზღვრის პრობლემას, მაშინ ეკონომიკური ბერკეტები უნდა აამოქმედო,”** - აღნიშნა “24 საათთან” საუბრის დროს დავით ნარმანიამ.

კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი ნაწილია ფინანსურ პოლიციაში 80 საშტატო ერთეულის დამატება, რომელიც, ლაშა გოცირიძის თქმით, მხოლოდ ბაზარზე კონტრაბანდული თამბაქოს ნაწარმის გამოვლენით იქნება დაკავებული. პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, აქციზის შემცირების პარალელურად კონტრაბანდის შემოტანასა და რეალიზაციაზე სამოქალაქო ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სანქციები უახლოეს მომავალში გამკაცრდება.

საგადასახადო კოდექსსა და სხვა შესაბამის კანონებში შესატანი ცვლილებების პროექტი, სავარაუდოდ, თებერვლის პირველ ნახევარში უნდა იყოს მზად, რის შემდეგაც ის პარლამენტს წარედგინება.

უცხოეთი

# მუჰამედის კარიკატურები „ცივილიზაციათა შეჯახებას“ იწვევს

პირველი გვერდიდან

ევროკავშირს 48 საათი აქვს იმისთვის, რომ მასმედიაში გამოქვეყნებული წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურებისთვის ოფიციალური ბოდიში მოიხადოს. ეს ულტიმატუმი ევროკავშირს პალესტინელმა ისლამისტებმა წაუყენეს, რომლებმაც გუშინ ღაზაში ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობა დაიკავეს. აღნიშნულ აქციაზე პასუხისმგებლობა ორმა დაჯგუფებამ - "სახალხო წინააღმდეგობის კომიტეტმა" და პარტია "ფათჰის" რადიკალურმა ფრთამ "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადამ" აიღო. ისლამისტები ევროკავშირისაგან ბოდიშის მოხდას მოითხოვენ იმ კარიკატურისთვის, რომელსაც მუსლიმანური ქვეყნების უმრავლესობამ შეურაცხმყოფელი და მკრეხელური უწოდა.

ექსტრემისტები ულტიმატუმს უწინარეს ყოვლისა დანიას, ნორვეგიასა და საფრანგეთს უყენებენ. სწორედ ამ ქვეყნების გაზეთებმა გამოაქვეყნეს სკანდალური კარიკატურები. თუ ბრიუსელი ბოდიშს არ მოიხდის, პალესტინელი ექსტრემისტები პირობას დებენ, რომ ავტონომიის ტერიტორიაზე მყოფ ყველა დანიელზე, ნორვეგიელსა და ფრანგზე იძიებენ შურს.

გუშინ ”კარიკატურების სკანდალს” შეეწირა ფრანგული გაზეთის "ფრანს სუარის" მთავარი რედაქტორის სავარძელიც. ჟაკ ლეფრანმა, ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში დანიურ გაზეთ "იულანდ-პოსტენ"-ში გამოქვეყნებული წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების სერია სამშაბათს, 31 იანვარს გადაბეჭდა ფრანგულ გაზეთში. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს კარიკატურების სერია დაიბეჭდა გერმანულ ”ბილდში”, ისევე როგორც იტალიის, ნიდერლანდებისა და სხვა ევროპული ქვეყნების ბეჭდვით გამოცემებში.

ფრანგული გამოცემის განმარტებით, ამ პუბლიკაციით სურდათ, ეჩვენებინათ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს რელიგიურ დოგმებს. თუმცა, ლეფრანის “აქციამ” სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო. იგი გუშინ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. როგორც გაზეთის მფლობელმა საიმონ ლაკმა განაცხადა, მან მთავარი რედაქტორის მოხსნა გადაწყვიტა, რათა ამით თითოეული მორწმუნისადმი თავისი ღრმა პატივისცემა გამოეხატა.

დანიურ გაზეთში წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების გამოჩენას მაშინვე მოჰყვა მასობრივი საპროტესტო აქციები მთელ რიგ მუსლიმურ ქვეყნებში. ღაზას სექტორში მართლმორწმუნე მუსლიმები დანიის დროშებს და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ანდრეი ფოგ რასმუსენის ფოტოსურათებს წვავდნენ. საპროტესტო აქციები მიმდინარეობს დამასკოში, რაამალაში, ბაღდადში, სანასა და და სხვა არაბულ ქალაქებში.

ლიბიამ და სირიამ დანიიდან დიპლომატიური წარმომადგენლები გამოიწვიეს. ეგვიპტემ კი უარი თქვა დანიის მთავრობისგან კრედიტის მიღებაზე. მოკლედ, თითქმის მთელი მუსლიმური სამყარო დაუპირისპირდა არა მარტო დანიელ ჟურნალისტებს, არამედ მთელ დანიელ ერს და თვით დანიურ საქონელსაც კი.

არაბულ ქვეყნებში დანიურ საქონელს ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. რძის პროდუქტების მწარმოებელი დანიური კომპანიები, რომელთა ქარხნები საუდის არაბეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებშია განლაგებული, მრავალმილიონიან ზარალს განიცდიან. როგორც იუწყებიან, ბოიკოტის გამო კოპენჰაგენმა უკვე ერთი მილიარდი ევროს ზარალი ნახა.

გუშინ ღაზაში მომხდარმა კი აშკარა გახადა, რომ დანიელთა გარდა ამჟამად საფრთხე შეიძლება ნებისმიერ ევროპელს დაემუქროს. საფრანგეთში სეროზულად უფრთხიან ორიოდე თვის წინ ჩამცხრალი არეულობების განმეორებას. შეგახსენებთ, გასული წლის შემოდგომაზე აფრიკული წარმოშობის მოსახლეობის ჯანყი საფრანგეთის ქალაქებში თვეზე მეტხანს გრძელდებოდა. საფრანგეთის ხელისუფლებამ გაჭირვებით მოახერხა მასობრივი არეულობების აღკვეთა – ამისათვის მას საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონის ამოქმედებაც კი დასჭირდა.

*24 საათი*

# "ირანის ბირთვული დოსიეს" განხილვა დღეს განახლდება

ვენაში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) ხელმძღვანელობა გუშინ ირანის "ბირთვული დოსიეს" გაეროს უშიშროების საბჭოსთვის გადაცემის საკითხზე მუშაობდა. თუმცა, როგორც დღის ბოლოს გაირკვა, რეზოლუციის მიღება ვერ მოხერხდა ტექსტთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო. დებატები ირანის ისლამური რესპუბლიკისაგან მომავალ საფრთხეზე დღეს განახლდება. თუმცა, უკვე საუბრობენ ირანის საკითხის გადადების პერსპექტივაზე მარტშიც.

ექსპერტების ვარაუდით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ მიღებული რეზოლუცია სახელმწიფოთა ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების კომპრომისული ვარიანტი იქნება.

გაეროს უშიშროების საბჭოს დონეზე პრობლემის განხილვას საბჭოს ხუთივე მუდმივმა წევრმა – აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, რუსეთმა და ჩინეთმა – დაუჭირა მხარი. როგორც ცნობილია, სწორედ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული "ირანული პრობლემის" გადაწყვეტა.

ირანის "ბირთვული დოსიეს" გაეროს უშიშროების საბჭოსთვის გადაცემის შემთხვევაში ირანი მაგატესთან თანამშრომლობის მთლიანად შეწყვეტით და ურანის გამდიდრების სრულმასშტაბიანი პროგრამის განახლებით იმუქრება. როგორც ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადიმ ორი დღის წინ განაცხადა, თუ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო 4 თებერვლამდე "გონივრულ" გადაწყვეტილებას არ მიიღებს, რადიკალურ ზომებზე შემდგომ უკვე ოფიციალური თეირანი პასუხს არ აგებს.

როგორც ბრიტანული ტელეკომპანია "ბი-ბი-სი" იუწყება, ოფიციალურ თეირანს რუსეთისა და ჩინეთის იმედი აქვს, რომ ისინი მაინც შეუშლიან ხელს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ იმ რეზოლუციის მიღებას, რაც "ირანის დოსიეს" გაერო-ს უშიშროების საბჭოში გადაგზავნის.

**"ჩინეთი და რუსეთი არასოდეს უჭერენ მხარს აშშ-ს გადაწყვეტილებებსა და ინიციატივებს. ისინი ყოველთვის ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ეს საკითხი მხოლოდ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ფარგლებში უნდა გადაწყვეტილიყო,"** - განაცხადა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში ირანის ელჩმა ალი სოლთანეიმ ვენაში დებატების დაწყებამდე.

როგორც საინფორმაციო სააგენტო "ფრანს-პრესი" იუწყება, ოთხშაბათს აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების სატელეფონო დიალოგი შედგა. ჯორჯ ბუშმა და ვლადიმირ პუტინმა ირანული პრობლემის მოგვარების გზებსა და ვენის შეხვედრაზე ისაუბრეს. "ფრანს-პრეს"-ისთვის მიცემულ ინტევრიუში კი რუსეთის ელჩმა გაერო-ში ანდრეი დენისოვმა განაცხადა, რომ ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესება ისევ საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდება.

"თუ თეორიულად დავუშვებთ ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას, მაშინ ლოგიკურად შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ვინ ვის უპირისპირდება სანქციებით - საერთაშორისო საზოგადოება ირანს თუ ირანი - საერთაშორისო საზოგადოებას? ირანი ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორია ნავთობისა და გაზის სფეროში. ასე რომ, ეს საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზრისთვის სერიოზული დარტყმა იქნება. ეს უდავო შედეგი იქნება სანქციების შემოღების შემთხვევაში," - აღნიშნა რუსმა დიპლომატმა.

თუ ექსპერტები ვენის შეხვედრამდე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთი ცალსახად დაიჭერდა ირანის მხარეს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სერგეი კისლიაკის განცხადებისა თუ მეგობრული რჩევის შემდეგ, ექსპერტებმაც შეარბილეს ტონი.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**სომხეთი.** ლიბერალურ-პროგრესული პარტიის თავმჯდომარემ ოვანეს ოვანესიანმა განაცხადა, რომ სომხეთში რუსეთის ბაზების ყოფნას აზრი არ აქვს.

სომეხი პოლიტიკოსის თქმით, ამ ბაზების საშუალებით რუსეთის და სომხეთის სტრატეგიული პარტნიორობის დამტკიცება ხდება, თუმცა ამ პარტნიორობის დამტკიცება სხვა გზითაც შეიძლება. თუ რუსეთს უყვარს სომხეთი, ისე უნდა ააწყოს თურქეთთან ურთიერთობა, რომ სამხედრო ბაზების საჭიროება არ იყოს აუცილებელი. თუ თურქეთის შეიარაღებული ძალები ეცდებიან სომხეთში შეჭრას, მას რუსეთის რამდენიმე ათასიანი ბაზა ვერ შეეწინააღმდეგება. სინამდვილეში ეს ბაზები არა ქვეყნის, არამედ ხელისუფლების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ოვანესიანის აზრით, პრეზიდენტ პუტინს არ სურს, რომ სომხეთში დემოკრატია იყოს, მისთვის ხელსაყრელია ორი ადამიანის არჩევა, რომელთაც დაეხმარება ქვეყნის მართვაში. რუსეთი, საქართველოსაგან განსხვავებით, არ განიხილავს სომხეთს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას. თანაბარუფლებიანი პარტნიორობის მისაღწევად სომხეთმა რუსეთთან ურთიერთობას უნდა გადახედოს, - ამბობს ოვანესიანი. **ნოიანტაპანი**

■ ■ ■

**ირანი.** "ჰიუმან რაითს უოჩი" ირანის მთავრობას მოუწოდებს, გაათავისუფლოს ასობით ავტობუსის მძღოლი და პროფკავშირის აქტივისტი, რომლებიც წინასწარ იქნენ დაკავებული დაგეგმილი გაფიცვის გამო.

ავტობუსის მძღოლები აპირებდნენ გაფიცვას 28 იანვარს, მათი პროფკავშირის თავმჯდომარე მანსურ ოსანლუს დაპატიმრების გამო პროტესტის გამოსათქმელად და მათი პროფკავშირული საქმიანობის აღიარების მოთხოვნით.

ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს უოჩის" ინფორმაციით, დაკავებულებისთვის არც ბრალდება წაუყენებიათ და მათ არც ვექილებთან დაკავშირების საშუალება ეძლევათ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმაც დაგმო ირანის მთავრობის მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციისთვის ხელის შეშლა. **რადიო თავისუფლება**




# რუსეთ-ინდოეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა

რუსეთი და ინდოეთი სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში დაახლოებით 10 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტებზე მუშაობენ.

ამის შესახებ განცხადება ნიუ-დელიში გამართულ პრესკონფერენციაზე სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ვიაჩესლავ ძირკალინმა გააკეთა.

მისი თქმით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამხედრო დანიშნულების რუსული პროდუქციის ექსპორტმა ინდოეთში საერთო ჯამში 7 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

გარდა ამისა, რუსეთმა ინდოეთს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსური სისტემის შექმნა შესთავაზა, მათ შორის სხვადასხვა მოდიფიკაციის "C-300" ტიპის სარაკეტო კომპლექსების გამოყენებით, - აცნობა ჟურნალისტებს "როსობორინექსპორტის" წარმომადგენელმა მიხაილ სუხაჩევმა და დასძინა, რომ რუსეთი ინდოეთთან ერთად ადრე ამ ქვეყნისთვის მიწოდებული "პეჩორას", "ოსას" და სხვა კომპლექსების მოდერნიზაციაზე მუშაობს.

*ინტერპრესნიუსი*

# ლუკა რამაზაშვილს პარტნიორები ესარჩლებიან

პირველი გვერდიდან

ლუკა რამაზაშვილს ბრალდება უკვე წაუყენეს და სამთვიანი წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. იგი უკვე გადმოიყვანეს თბილისის წინასწარი დაკავების იზოლატორში.

გუშინ თელავის სასამართლომ ლუკა რამაზაშვილის პარტნიორს ვერდიქტი გამოუტანა.

საუბარია ადგილობრივი ტელევიზიის "თანამგზავრის" დირექტორზე ენრი კობახიძეზე. მას ბრალი გუშინწინ, ლუკა რამაზაშვილის პროცესის დასრულების შემდეგ წაუყენეს და სასამართლოს უპატივცემულობაში დაადანაშაულეს. ბრალდების მხარის განცხადებით, ენრი კობახიძემ მას შემდეგ, რაც ლუკა რამაზაშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს, მოსამართლეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ენრი კობახიძის წვრილმან ხულიგნობასა და სასამართლოს უპატივცემულობაში დადანაშაულებას ადგილობრივი მედია და არასამთავრობოები გუშინ თელავის სასამართლოსთან აპროტესტებდნენ.

ენრი კობახიძეს, რომლის ინტერესებსაც სასამართლო პროცესზე "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი იცავდა, თელავის სასამართლომ ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდა – მოსამართლის შეურაცხყოფისთვის მას 7 ლარისა და 50 თეთრის ჯარიმის გადახდა მოუწევს.

*24 საათი*

*მოკლედ*

### შალვა რამიშვილის პროცესზე სტუდია "რეპორტიორის" ჟურნალისტებს დაკითხავენ

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სასამართლო პროცესზე მოსამართლე ნინო სანდოძემ, მოწმის სახით, სტუდია "რეპორტიორის" ჟურნალისტების გამოძახების გადაწყვეტილება მიიღო.

ჟურნალისტების დაკითხვა, რომლებმაც საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" კობა ბექაურის ინტერესების შესახებ ფილმი მოამზადეს, დაცვის მხარემ მოითხოვა. ბრალდების მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსამართლემ ეს შუამდგომლობა მაინც დააკმაყოფილა.

გუშინდელ პროცესზე ტელეკომპანია "202"-ის კიდევ ერთი დამფუძნებელი ნინო კიკალეიშვილი დაიკითხა. სასამართლოს მოწმე ზურაბ ბაღდოშვილი უნდა დაეკითხა, მაგრამ იგი პროცესზე არ გამოცხადდა. როგორც ცნობილია, ბაღდოშვილმა ბექაურს რამიშვილისთვის გადასაცემი ფული ასესხა.

ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებლი შალვა რამიშვილი და ამავე ტელეკომპანიის დირექტორი დავით კოხრეიძე 2005 წლის 27 აგვისტოს დააკავეს. მათ პარლამენტარ კობა ბექაურისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ედავებიან. წარდგენილი ბრალდება, დამტკიცების შემთხვევაში, 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

### ყალბი ანგარიშფაქტურის გამოყენებისათვის სამი პირი დააკავეს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარ სამმართველოში მეწარმე ცეზარ დოგრაშვილი და საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლები - სიმონ ჭელიძე და თეიმურაზ პაპაშვილი დააკავეს. შპს "თბილისი-64"-ის დირექტორობის დროს ცეზარ დოგრაშვილმა ბიუჯეტს გადასახადი რამდენიმეჯერ დაუმალა. ბოლო ერთი წლის მანძილზე მის მიერ დამალულმა და გადაუხდელმა ძირითადმა გადასახადმა, სანქცია-საურავების გარეშე, 374 ათას ლარზე მეტი შეადგინა.

ამავე პერიოდში შპს "თბილისი-64" ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის უფროსმა ინსპექტორმა სიმონ ჭელიძემ შეამოწმა. მან დოგრაშვილის მიერ წარდგენილ ყალბ ანგარიშფაქტურაზე და სახელმწიფოსგან ყალბად მიღებულ ჩათვლაზე რეაგირება არ მოახდინა, რითაც სახელმწიფომ 80 ათასი ლარით იზარალა.

გარდა ამისა, შპს "თბილისი-64"-ის შემოწმება თბილისის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო აუდიტის სამმართველოს უფროსმა ინსპექტორმა თეიმურაზ პაპაშვილმაც განახორციელა. დოგრაშვილმა მასაც ყალბი საბაჟო დეკლარაცია წარუდგინა, თუმცა, საგადასახადოს არც ამ თანამშრომელს მოუხდენია რეაგირება და არ გაუუქმებია ყალბად მიღებული 80 ათასი ლარის ჩათვლა.

სამივე მათგანი ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. ცეზარ დოგრაშვილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდებაშია ბრალდებული, ხოლო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს ბრალად სამსახურებრივი გულგრილობა ედებათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

**გაზეთ "24 საათის" 2 თებერვლის 1174-ე ნომერში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ღია საერთაშორისო ტენდერი კვების პროდუქტების შესყიდვაზე, სადაც გაიპარა უზუსტობა. ზედმეტია მეორე ცხრილი. არ უნდა იყოს: "საქონლის მიწოდების გაფიკი (პური)" და მის ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელიც აღნიშნულ ტენდერს არ შეესაბამება.**

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მიერ 2006 წლის 25 იანვარს გაზეთში "24 საათი" (N15) კომპიუტერების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის განცხადების ტექსტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის დამატება:**

**1. V ლოტი**

**15 ცალი ლაზერული პრინტერი A4 ფორმატის ქაღალდისათვის 1200dpi.**

**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში ცვლილება**

2006 წლის 25 იანვრის გაზეთ "24 საათის" N15-ში გამოქვეყნებულ მაუწყებლის ძირითადი შენობის, გარე პერიმეტრის და აღნიშნულ პერიმეტრზე შენობების 24-საათიანი დაცვის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერის განცხადების მე-2 პუნქტში შევიდა ცვლილება და დაემატა ძირითადი შენობის (კორპუსი N1) მთავარ შესასვლელში დამონტაჟებული ბანკომატის აპარატის დაცვა.

# ალექსი გოცირიძეს დაუსაბუთებელი ქონება ჩამოართვეს

*ცოტა ხნის წინათ გამართულ მთავრობის ერთ-ერთ საგანგებო სხდომაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს შეკითხვა დაუსვა, ჩამოართვეს თუ არა ქონება გაზის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილ პრეზიდენტს ალექსი გოცირიძეს. პრეზიდენტის შეკითხვას რეაგირება ოპერატიულად მოჰყვა.*



სააღსრულებლო კომისიამ სახლის კარი ავტოგენით გახსნა.

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტმა გაზის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილ პრეზიდენტს ალექსი გოცირიძესა და მის ახლო ნათესავებს დაუსაბუთებელი ქონება ჩამოართვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის სარჩელი და ყოფილი თანამდებობის პირის ალექსი გოცირიძისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუსაბუთებლად მიიჩნია. სასამართლომ სადავო ქონება სახელმწიფოს მიაკუთვნა, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულება თბილისის სააღსრულებო ბიუროს დაავალა.

გუშინ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - "საფინანსო სააგენტოს" ოფიციალურად ჩააბარეს ალექსი გოცირიძის დაუსაბუთებელი ქონება - საცხოვრებელი ბინა, რომელიც მოსაშვილის ქუჩაზე მდებარეობს, ბინაში არსებული მოძრავი ქონება, ავტოფარეხი და სარდაფი. დარჩენილი ქონების ნაწილი, რომელიც სააღსრულებლო ფურცელში არ არის მოხსენიებული, აღიწერა.

გოცირიძის ქონება საჯარო აუქციონზე გაიყიდება. რეალიზაციიდან შემოსული თანხით ის დავალიანება დაიფარება, რომელიც გოცირიძეს სასამართლომ დააკისრა. მოსაშვილის ქუჩაზე არსებული დაუსაბუთებელი ქონების გადაცემის პროცედურის დასრულების შემდეგ, აღმასრულებლები ვაზისუბნის ქუჩაზე მდებარე ბინაში არსებულ ავეჯს აღწერენ და "საფინანსო სააგენტოს" წარმომადგენლებს ჩააბარებენ.

სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახელმწიფოს უკვე გადასცეს გოცირიძის ოჯახის წევრებზე გაფორმებული საცხოვრებელი სახლები გარდაბნის რაიონის სოფელ წავკისსა და მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში. სასამართლომ ისინიც დაუსაბუთებელ ქონებად მიიჩნია.

მოსაშვილის ქუჩაზე მდებარე ალექსი გოცირიძის ყოფილ საცხოვრებელ სახლში, სააღსრულებლო პოლიციის თანამშრომლებმა, რამდენიმე საკეტით ჩაკეტილი სახლის კარი ავტოგენით გახსნეს.

*24 საათი*

# Amnesty International-მა საქართველოს გენერალურ პროკურორსა და შს მინისტრს დასკვნა გაუგზავნა

მოხსენებაში ნათქვამია, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქართველი სამართალდამცველები კვლავ იყენებენ სასტიკი მოპყრობის მრავალფეროვან მეთოდებს, ისეთს, როგორიც არის - ელექტროშოკის გამოყენება, თავზე პოლიეთილენის პარკის ჩამოცმა, სიგარეტითა და სანთლით მიყენებული დამწვრობები და სხვა.

"საერთაშორისო ამნისტიის" ინფორმაციით, მრავალი ამგვარი ფაქტი ჯერ გახმაურებული არ არის, რადგან პოლიციელები თავიანთ დანაშაულებს ფარავენ. ხშირ შემთხვევაში კი, მსხვერპლს, ანგარიშსწორების შიშით, ამგვარი დანაშაულის გახმაურება არ შეუძლია.

"საერთაშორისო ამნისტიამ", გარდა კრიტიკისა, "ვარდების რევოლუციის" შემდგომ ძალოვან სტრუქტურებში მიღწეულ პოზიტიურ შედეგებზეც ისაუბრა.

არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, პროგრესია შეიმჩნევა იმ მხრივ, რომ შს სამინისტროს დროებითი დაკავების ადგილებში ხშირად ტარდება მონიტორინგი და 12 პოლიციელი, ადამიანთა უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტის გამო, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.

"საერთაშორისო ამნისტიამ" საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს 4 რეკომენდაცია მისცა:

აიკრძალოს ნიღბებისა და პოლიციის თანამშრომლების ვინაობის დამფარავი სხვა საშუალებების გამოყენება, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა პოლიციელის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. სპეცდანიშნულების რაზმის წევრს ჰქონდეს განმასხვავებელი ნომერი, რომლის მიხედვითაც, შემდეგომ შესაძლებელი იქნება პირის იდენტიფიკაცია;

შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილება დანაშაულში ეჭვმიტანილ პოლიციელს, მანამდე, სანამ მისი პასუხისმგებლობის ან დისციპლინარული დევნის საკითხი განიხილება;

ჩამოყალიბდეს პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოსაგან დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც დეტალურად შეისწავლის ცემა-წამების ფაქტებს;

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადამიანთა უფლებების დაცვას, როგორც დედაქალაქში, ასევე - ქვეყნის რეგიონებში.

"ამნისტი ინტერნეიშენელმა" დასკვნა, რომელსაც კონკრეტული ფაქტები ერთვის, გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს, შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს, სახალხო დამცველს სოზარ სუბარს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს.

*24 საათი*

# შსს-მ ირანული წარმოების „ჰეროინის" დიდი პარტია ამოიღო

შსს-ს თანამშრომლებმა გუშინ გამთენიისას მსხვილი ნარკოდილერი ნიფა ბაირამოვი, ზედმეტსახელად "ზაქირა", დააკავეს, რომელმაც საქართველოში უპრეცედენტო რაოდენობისა და ხარისხის ნარკოტიკული საშუალება შემოიტანა. ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული ირანული წარმოების "ჰეროინი", რომელიც ორ კილოგრამს იწონის. ნარკოტიკი დაფასოებულია ქარხნული წესით და მასზე სპეციალური შტამპით მითითებულია, რომ ნარკოტიკი წარმოებულია ირანში და მაღალი ხარისხისაა. "ჰეროინი" მინარევების გარეშეა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ამოღებული "ჰეროინის" საბაზრო ღირებულება 700-800 ათას დოლარს შეადგენს. მერაბიშვილის თქმით, აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება მაღალი ხარისხისაა და ის ქარხნული წესით არის დამზადებული.

მინისტრმა აღნიშნა, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს, აგრეთვე, ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი პირი. "სამწუხაროდ, დაკავებისას ეჭვმიტანილმა ზიანი მიაყენა ჩვენს ორ თანამშრომელს და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. იმედს გამოვთქვამ, რომ ისინი გამოჯანმრთელდებიან და მინდა, მათ დიდი მადლობა გადავუხადო", - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მერაბიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძალზე მაღალია ნარკორეალიზაციის ფაქტების გამოვლენის დონე, ნარკომანია ქვეყნისთვის კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება.

"სამწუხაროდ, საქართველოში ნარკომანია კვლავაც რჩება ყველაზე მძიმე სენად. კიდევ ერთხელ მინდა მივმართო საზოგადოებას და ვუთხრა, რომ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ შეძლებს ამ მძიმე სენის დამარცხებას. ნარკომანიის დამარცხება მთელ საზოგადოებას შეუძლია. საქართველოში უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ნარკომანი ყველაზე დაჩაგრული და გაკიცხული პიროვნება იყოს და ნარკომანია სამარცხვინო მოვლენად ითვლებოდეს", – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

*24 საათი*

# ზუგდიდის სასამართლომ ე.წ. "კანონიერ ქურდს" წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა წალენჯიხელ, ე.წ. "კანონიერ ქურდს" გია კვარაცხელიას. გია კვარაცხელია ამ დროისთვის საქართველოში არ იმყოფება და ეს გადაწყვეტილება მისი ინტერესების დამცველს გააცნეს. გარდა ამისა, გია კვარაცხელიას ძებნა გამოცხადდა.

გია კვარაცხელიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 31 იანვარს აღიძრა. არსებული ოპერატიული ინფორმაციით, გია კვარაცხელია ამჟამად ესპანეთში იმყოფება.

შს სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ გია კვარაცხელია ცნობილი ავტორიტეტი და ე.წ. "კანონიერი ქურდია". ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი კანონმდებლობით, მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. **ინტერპრესნიუსი**

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოტიპიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] "24 საათის" [illegible]
11. [illegible] 77 [illegible] "გაპის" [illegible]

"24 საათის" [illegible]

ჭიდაობა

# ბერძენ-რომაელებმა ვერის ბალი დატოვეს

ბიბა ბურასაშვილი



ჩემპიონატის დასკვნითი დღე მართლაც გამორჩეული იყო. სამი წონითი კატეგორიიდან (60, 74, 96) ორში ისეთი ტიტულოვანი ფალავნები ასპარეზობდნენ, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებს რომ დაამშვენებდა.

ამიტომაც იყო, რომ მანუჩარ კვირკველიასა (74კგ.) და რამაზ ნოზაძის (96კგ.) ხალიჩაზე გამოჩენას შეძახილები მოჰყვა. კვირკველია ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი და მსოფლიოს ჩემპიონატების ბრინჯაოსა და ოქროს მედლების მფლობელია, ნოზაძე კი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსა და ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანია!

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ორივე მათგანმა საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა – კვირკველიამ მესამედ, ნოზაძემ მეოთხედ.

“საქართველოს ჩემპიონატზე გამოსვლა განსაკუთრებით მიყვარს, - ამბობს საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი რამაზ ნოზაძე, – საქართველოს პირველობაზე ჭიდაობა იოლი არასდროს არ არის. ყოველთვის ძლიერი მეტოქეები მყავდა და მყავს.

წინ ბევრი საერთაშორისო ასპარეზობაა – ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატები. ახლა, როცა უკვე ჩემპიონი ვარ, მინდა ყველა საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდე. შარშან ტრავმების გამო წარმატებებს ვერ მივაღწიე. თანაც ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელი იყო და გადაღლილიც ვიყავი. ახლა მინდა ის ავინაზღაურო, რაც შარშან ვერ შევძელი”.

დიდი გეგმები აქვს კვირკველიასაც, რომელსაც ასევე სურს ბოლო წლების წარუმატებლობებსა თუ უიღბლობას თავი დააღწიოს. უწინდელ წარმატებებს მსოფლიოს ჩემპიონმა 66 კგ წონაში მიაღწია. უკვე მეორე წელიწადია მანუჩარი 74-ში გამოდის, ხოლო 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ წარმატებისთვის არ მიუღწევია.

ჩემპიონატის გუშინდელ დღეზე შეიძლება ითქვას, რომ ის თბილისის ბერძნულ-რომაული სკოლის აშკარა უპირატესობით წარიმართა. სამ წონით კატეგორიაში გათამაშებული 12 მედლიდან 8 მასპინძლებმა დაისაკუთრეს, აქედან 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 5 ბრინჯაო.

ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან მწვრთნელად ოთარ ტატიშვილი დასახელდა. მედლების უმეტესობას სწორედ მისი შეგირდები დაეუფლნენ.

**ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი**

**60კგ. – 21 მონაწილე**
1. დავით ბედინაძე (აჭარა)
2. რამინ უნგიაძე (თბილისი)
3. გიორგი ტაბატაძე (თბილისი)
3. ტარიელ ებრალიძე (თბილისი)

**74კგ. – 29 მონაწილე**
1. მანუჩარ კვირკველია (ოზურგეთი)
2. მამუკა ხიმშიაშვილი (აჭარა)
3. ალუდა ხუნჭუა (ხობი)
3. გენადი გოგიშვილი (თბილისი)

**96კგ. – 15 მონაწილე**
1. რამაზ ნოზაძე (თბილისი)
2. პაატა დვალიძე (თბილისი)
3. ილია სამხარაძე (თბილისი)
3. ზურაბ წიქარიძე (თბილისი)

ფორმულა 1

# ახალი სეზონი, ახალი წესები, ახალი გუნდები

მამუკა ხოშტარია

"ფორმულა 1"-ში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - "უილიამსმა" საზოგადოებას თავისი ახალი ბოლიდი - FM28 წარუდგინა. ამ მანქანის განსაკუთრებულობა მის შეცვლილ და გაუმჯობესებულ აეროდინამიკულ მონაცემებშია. ბოლიდი ძრავითაც განსხვავდება წინამორბედებისგან. ბრიტანული საჯინიბოს მფლობელმა ფრენკ უილიამსმა გაწყვიტა მრავალწლიანი თანამშრომლობა "BMW"-სთან. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბავარიულმა კონცერნმა საკუთარი გუნდი შექმნა. ამ სეზონში "უილიამსის" ბოლიდები "კოსუორტის" ძრავებით იასპარეზებენ.

"ჩვენ ძალიან ამბიციური გეგმები გვაქვს. იმედია, მათ განსახორციელებლად ეს მოდელი დაგვეხმარება. როცა ბოლიდს ქმნი, არასდროს არ ფიქრობ იმაზე, რომ ის უბრალოდ ფინიშამდე უნდა მივიდეს. ჩვენ გამარჯვებების მოპოვების იმედი გვაქვს", - განაცხადა "უილიამსის" ერთ-ერთმა მფლობელმა პატრიკ ჰედმა. ახალი მანქანით კმაყოფილნი დარჩნენ გუნდის პილოტებიც: მარკ უებერი და ნიკო როსბერგი. ეს უკანასკნელი დებიუტანტია და "სამეფო რბოლაში" პირველი სეზონის ჩასატარებლად ემზადება.



"უილიამსმა" თავისი ახალი ბოლიდი - FM28 წარმოადგინა.

თავ-თავიანთი ახალი ბოლიდების პრეზენტაცია მოაწყვეს "ტოიოტამ" და "ჰონდამაც". იაპონური "ტოიოტა" შარშან ანგარიშგასაწევი ძალა იყო და წელსაც ალბათ მაღალი ადგილისთვის იბრძოლებს. "ჰონდა" წელს დამოუკიდებლად გამოვა. ამ კორცერნის "ბართან" თანამშრომლობა უკვე ისტორიის საკუთრებაა.

ცვლილებებია წესებშიც. მიმდინარე სეზონში ბოლიდები რვაცილინდრიანი ძრავებით იქნებიან აღჭურვილნი. აქამდე მათი რაოდენობა ათით განისაზღვრებოდა. ეს ნოვაცია სისწრაფის შემცირებისკენაა მიმართული, რათა რბოლა კიდევ უფრო უხიფათო გახდეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აიტორ სენას ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ შემოღებული შეზღუდვების გამო სერიოზული ავარია არ მომხდარა და ამ მხრივ "სამეფო რბოლაში" სიტუაცია ისედაც არ იყო საგანგაშო.

# Invitation for Bids (IFB)

Georgia
Secondary and Local Roads Project
Credit Number 39380-GE
Rehabilitation Works for the Secondary Road
Tbilisi - Kojori - Tsalka - Ninotsminda
Section km 32 - km 46 (14km)

IFB Number: SLRP/CW/ICB-01

1. This Invitation for Bidding follows the General Procurement Notice for this Project that appeared in Development Business Online and DgMarket on 7 October 2004.

2. Georgia has received a credit from the International Development Association toward the cost of Secondary and Local Roads Project, and intends to apply part of the proceeds of this credit to payments under the contract No SLRP/CW/ICB-01 for Rehabilitation Works in the region of Kvemo Kartli, Georgia.

3. The Roads Department of the Ministry of Economical Development of Georgia (RDMED) now invites sealed bids from eligible and qualified bidders for preparatory and earth works, rehabilitation of road pavement, structures, junctions and road furniture on km 32 - km 46 section of the Secondary Road Tbilisi - Kojori - Tsalka - Ninotsminda . The contract period is 15 months.

4. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding (ICB) procedures specified in the World Bank's Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits (May 2004 edition), and is open to all bidders from Eligible Source Countries as defined in the Bidding Documents.

5. Interested eligible bidders may obtain further information from Mr. Jaba Shubitidze, Head, Tender Directorate, RDMED, and inspect the Bidding Documents at the address given below from 10:00 hours to 17:00 hours.

6. Qualifications requirements include: (i) average annual financial amount of construction work over the last three years shall be not less than 2 million Georgian Lari; (ii) documentary proof that bidder is not involved in litigation in respect of bankruptcy, readjustment or liquidation.

7. A complete set of Bidding Documents in English or Georgian languages may be purchased by interested bidders on the submission of a written Application to the address below and upon payment of a non refundable fee 200 Georgian Lari or its equivalent in USD. The method of payment will be direct deposit to account number:

Beneficiary: Treasury of the Ministry of Finances of Georgia. Roads Department Identification Code: 21134982

Account in Georgian Lari: 000141408

Account in international currencies: 001189647
Recipient Bank: National Bank of Georgia
Code: 220 101 107
Purpose of transfer: Tender fee.

The Bidding Documents will be sent by courier mail at the expense of bidder.

8. Bids must be delivered to the address below not later than 12:00 hours on March 27, 2006. Electronic bidding shall not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend in person at the address below at 12:00 on March 27, 2006.
9 All bids shall be accompanied by a Bid Securing Declaration.
10. The address referred to above is:
RDMED
Office of Tender Directorate (XIIIth floor, room 13)
Jaba Shubitidze, Head, Tender Directorate
29a, Gagarin Street, Tbilisi, Georgia, 0160
Tel: +995-32-376-506 ext. 444
Fax: +995-32-313-034
E-mail: Shalva-Matatashvili@yahoo.com

# მოთხოვნა წინანდადების წარმოსადგენად (IFB)

საქართველო
"შიდასახელმწიფო და ადრილობრივი გზების პროექტი"
კრედიტი N 39380-GE

შიდასახელმწიფო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები
თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდა გზის მონაკვეთი 32-ე კმ.-დან 46 კმ.-მდე (14 კმ.)

IFB N SLRP/CW/ICB-01

1. მოთხოვნა წინანდადების წარმოსადგენად მოყვება ამ პროექტისათვის, 2004 წლის 7 ოქტომბერს Development Business Online-ში და DgMarket-ში გამოქვეყნებულ "შესყიდვის გენერალური შეტყობინებას".
2. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციიდან "შიდასახელმწიფო და ადგილობრივი გზების პროექტის" განხორციელების მიზნით. კრედიტის თანხების ნაწილის გამოყენება ნავარაუდევია საავტომობილო გზების რეაბილიტაციისათვის ქვემო ქართლში, კონტრაქტით N SLRP/CW/ICB-01.
3. ამჟამად ეკონომიკურ განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს სათანადო უფლების და კვალიფიკაციის მქონე პრეტენდენტებს დალუქული წინანდადების წარმოსადგენად მიწის მოსამზადებელი სამუშაოების, გზის საფარის, სტრუქტურის, გზაჯვარედინების და გზის უსაფრთხოების აქსესუარების რეაბილიტაციის განსახორციელებლად თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდა შიდასახელმწიფო გზაზე. კონტრაქტის ხანგრძლივობაა 15 თვე.
4. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის (ICB) პროცედურით, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს - "შესყიდვები საერთაშორისო განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებით" (2004 წლის მაისი) განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ სატენდერო დოკუმენტაციში ჩამოთვლილი "ნებადართული ქვეყნების" წარმომადგენლებს.
5. დაინტერესებულ, უფლებამოსილ პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია ბატონი ჯაბა შუბითიძისაგან, ეკონომიკურ განვითარების სამინისტროს საავტოობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსისაგან 10:00 - დან 17:00 საათამდე, და ასევე ქვემოთ მითითებულ მისამართზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.
6. საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: (i) არანაკლებ 2 მილიონი ლარის მოცულობის შესრულებული სამშენებლო სამუშაოები ბოლო სამი წლის განმავლობაში; (ii) იმის დოკუმენტური მტკიცებულება, რომ პრეტენდენტის წინააღმდეგ არ წარმოებს სამართლო საქმე მისი რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან გაკოტრების გამო.
7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს შეუძლიათ შეიძინონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ინგლისურ და ქართულ ენაზე ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე, წერილობითი მოთხოვნის წარდგენისა და 200 ლარის, ან აშშ. დოლარებში მისი ექვივალენტის გადახდის შემდეგ (თანხის უკან დაბრუნება არ ხდება). გადახდა ხდება პირდაპირი გადარიცხვით შემდეგ საბანკო ანგარიშზე:
ბენეფიციარი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის საიდენტიფიკაციო კოდი: 21134982
ლარების ანგარიში: 000141408
საერთაშორისო სავალუტო ანგარიში: 0001189647
მიმღები ბანკი:საქართველოს ეროვნული ბანკი
კოდი:220101106
გადარიცხვის მიზანი: სატენდერო დოკუმენტების შეძენა.
სატენდერო დოკუმენტაცია გაეგზავნება პრეტენდენტს ექსპრეს ფოსტით მიმღების ხარჯზე.
8. სატენდერო წინადადებები უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანე 2006 წლის 27 მარტის 12:00 საათისა. სატენდერო წინადადებების ელექტრონული ვერსიები არ მიიღება. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილი იქნება. წინადადებები გაიხსნება ქვენოთ მითითებულ მისამართზე. 2006 წლის 27 მარტს 12:00 საათზე.
9. ყველა წინადადებას უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების დაზღვევის დეკლარაცია.
10. ზემოხსენებული მისამართია:
0160 საქართველო, თბილისი, გაგარინის ქუჩა 29ა,
ეკონომიკურ განვითარების სამინისტროს საავტოობილო გზების დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო (მე-13 სართული, ოთახი13)
საკონტაქტო პირი ბატონი ჯაბა შუბითიძე, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
ტელეფონი: +995-32-376-506, აბონენტი 444
ფაქსი: +995-32-313-034
ელექტრონული ფოსტა: Shalva-Matatashvili@yahoo.com

**შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი,** საზღვარგარეთ მშენებლობის წარმოების ბიურო (OBO) აცხადებს ფირმებისათვის წინა საკვალიფიკაციო კონკურსს პროექტირებისა და მშენებლობის მომსახურების გასაწევად სტანდარტული საელჩოს პროექტის (SED) ახალი დამატებითი (NOX) შენობის პროექტისთვის. პროექტი მოიცავს საქართველოში, თბილისში შეერთებული შტატების მთავრობის სხვადასხვა სააგენტოების გასანთავსებელი შენობის პროექტირებასა და მშენებლობას. ქვემოთ მოცემულია პროექტის აღწერილობა. პროექტი ითვალისწინებს ახალი, დამატებითი შენობის მშენებლობას შეერთებული შტატების საელჩოს კუთვნილ ტერიტორიაზე.

SALMEC-06-R0007: თბილისი, საქართველო, ახალი დამატებითი შენობა USAID-ისთვის (შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო), ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 5,000 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ახალი დამატებითი შენობის ფართობი: 3,700 კვადრატული მეტრი; პროექტირება-მშენებლობის დადგენილი ღირებულება: 10 დან 15 მილიონამდე აშშ. $.

პროექტის მოთხოვნა მოიცავს ორ ფაზას. მოცემული წინა-საკვალიფიკაციო განაცხადის შემოტანა წარმოადგენს I ფაზას. სახელმწიფო დეპარტამენტი შეაფასებს და შეარჩევს წინა საკვალიფიკაციო განაცხადებს იმ შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია დადგენილ შეფასების ფაქტორებში/პირობებში. ის ფირმები, რომლებიც მიიღებენ დამაკმაყოფილებელ შეფასებას ტექნიკური საბჭოსგან, მიიღებენ ოფიციალურ მოთხოვნას (წინადადების მოთხოვნას) და მათ II ფაზაში შესთავაზებენ წარმოადგინონ მათი მომსახურების ღირებულების კალკულაცია. შეერთებული შტატების მთავრობა იტოვებს უფლებას არ გაატაროს წინა საკვალიფიკაციო ეტაპი იმ ფირმებს, რომლებიც მიიღებენ დამაკმაყოფილებელზე ნაკლებ შეფასებას შეფასების რომელიმე ფაქტორსა, თუ ქვე-ფაქტორში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და წინა საკვალიფიკაციო პაკეტის შინაარსთან და განაცხადების შემოტანასთან დაკავშირებით, გთხოვთ გადახედოთ დოკუმენტს, რომელიც განთავსებულია შემდეგ ვებ. გვერდზე: http://www.eps.gov/.

დააჭირეთ "Vendors" (მომწოდებლები)—აკრონიმებში "Acronims" ჩამოშალეთ მენიუ, შემდეგ დააჭირეთ "State"-ს. სიაში, რომელიც მოცემულია "*Office of Logistics Management*" (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯმენტის ოფისის) მარჯვნივ დააჭირეთ "*Posted Dates*" (გამოქვეყნების თარიღებ-ს). ჩვენი დოკუმენტი გამოქვეყნდა 2006 წლის 2 თებერვალს და დასათაურებულია შემდეგნაირად: "*2006 Design-Build Standard Design Separate Announcement for ANNEX BUILDING Projects ONLY*" (2006 წლის საპროექტო-სამშენებლო სტანდარტული პროექტირების კონკრეტული განაცხადი მხოლოდ დამატებითი შენობების პროექტებისათვის).

ჩვენ გვესაჭიროება სრული პაკეტი, რომელშიც ასახული იქნება სათანადო ინფორმაცია, აღნიშნული შეფასების ფაქტორების შესაბამისად. შეფასების თითოეულ ფაქტორში ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ ფრაზაზე: "*the government will evaluate...* (მთავრობა შეაფასებს...). დარწმუნდით, რომ მოგვაწოდეთ ყველა ის მონაცემი, რომელიც ასახავს თითოეულ იმ ფაქტორს, რაც ჩვენ უნდა შევაფასოთ.

**შეკითხვები განმარტებისათვის** წერილობითი სახით უნდა გაუგზავნოთ დავით ვივიანს/დონა ნიილს (David Vivian/Donna Neal) ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართებზე: VivianDW@state.gov და NealDK@state.gov, ან ფაქსის მეშვეობით შემდეგ ნომერზე: (703) 875-6699.

ყველა განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს 2006 წლის 21 თებერვლის 15:00 საათამდე.

განაცხადების გამოგზავნა: ფირმებს ვურჩევთ განაცხადები გამოაგზავნონ შემდეგი საფოსტო სამსახურების მეშვეობით (DedEx, UPS Express Mail, DHL და ა.შ.) შემდეგ მისამართზე: (არ გამოიყენოთ აშშ.-საფოსტო სამსახურის (PO Box) მისამართი)
შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი:
კერძოდ: დავით ვივიანს/ დონა ნიილს
A/LM/AQM/FDCD/CON);
VA 22209, აშშ, არლინგტონი, N
North Fort Myer Drive 1701,
ოთახი L-600, SA-6.
U.S. Department of State: Attn: David Vivian/Donna Neal
A/LM/AQM/FDCD/CON, Room L-600, SA-6
1701 North Fort Myer Drive
Arlington, VA 22209 USA

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 ტ. 95-65-91) აცხადებს ტენდერს საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაციის მიზნით დეფექტური აქტებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - საქართველოს საჯარო სკოლების სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაციის მიზნით დეფექტური აქტებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

**დაფინანსების წყარო** - პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია".

| ლოტი | რეგიონი | სკოლები რაოდენობა | |
|---|---|---|---|
| | | ნაწილობრივი რეაბილიტაცია | სრული რეაბილიტაცია |
| 1 | კახეთი | 7 | 8 |
| 2 | ქვემო ქართლი, რუსთავი | 27 | 5 |
| 3 | შიდა ქართლი, გორი | 11 | 8 |
| 4 | ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი | 42 | 2 |
| 5 | იმერეთი | | 11 |
| 6 | სამეგრელო, ზემო სვანეთი | 12 | 7 |
| 7 | გურია, ფოთი | 14 | 3 |
| 8 | ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა | 6 | 4 |
| 9 | მცხეთა-მთიანეთი | | 4 |
| 10 | თბილისი (გლდანი-ნაძალადევი) | 32 | |
| 11 | თბილისი (დიდუბე-ჩუღურეთი) | 19 | |
| 12 | თბილისი (ვაკე-საბურთალო) | 25 | |
| 13 | თბილისი (ისანი-სამგორი) | 25 | |
| 14 | თბილისი (მთაწმინდა-კრწანისი) | 21 | |
| | სულ: | 241 | 52 |

- **მომსახურების ადგილი** - საქართველოს რეგიონები.
- **მომსახურების ვადები**: ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღე.
- **მომსახურების მოკლე აღწერა** - ა) შენობის ვიზუალური დათვალიერება, შესწავლა და ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შესახებ დასკვნის მომზადება;

ბ) დეფექტური აქტის მომზადება;

გ) ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

**შენიშვნა**: - ტერმინი "ნაწილობრივი რეაბილიტაცია" მოიცავს შენობის სახურავის, გარე კარ-ფანჯრის და კანალიზაცია-წყალმომარაგების დეფექტური აქტის მომზადება.

- თუ შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია შენობის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე (ანუ, შენობა საჭიროებს დამატებით შესწავლას), მაშინ "ბ" და "გ" პუნქტებში მითითებული სამუშაოები აღარ ხორციელდება.
- ზემოთ მითითებული სკოლების კონკრეტულ ქალაქებში განლაგებას, რაოდენობას და მისამართებს დაინტერესებული პირები მიიღებენ დანართის სახით.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 24 თებერვლის 1500 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 24 თებერვალს სატენდერო წინადადებების მიღების დამთავრებისთანავე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N214.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან);**

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროდან);**

**ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა **(ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან რაიონის მიხედვით);**

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფა და ანალიზის სამმართველოდან).**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რევიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის, გაკოტრების ან სანაციის საქმე (**ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან);**

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

დ) ინფორმაცია თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ;

ე) ორგანიზაციის ბალანსები ბოლო 3 წლის განმავლობაში;

ვ) ლიცენზია და საქმიანობის ჩამონათვალი;

ზ) ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ ცხრილის მიხედვით (აღნიშნული ცხრილი დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. N52 II სართული, ოთახი N222).

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224

**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკის კოდი** - 220101107

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 30200300

**ა/ა** N 200122900

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, ა. გაგნიძე, მ. ბუზალაძე, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ქ.რუსთავი 3 თებერვალი 2006 წ.**

1. ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს ღია ტენდერს დაახლოებით 680 ცალ მოცულობის პლასტიკატის სანაგვე ურნების შეძენაზე.

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც "სახალხო ბანკი"-ს რუსთავის ფილიალში (ბ.კ. N 220101413) სადაც რუსთავის ხაზინას (ა.ა. N 33030001) გახსნილი აქვს ანგარიში უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

3. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის: ქ. რუსთავი კოსტავა N20 ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა 4-ე სართული სახელმწიფო შესყიდვების სამსახური) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამდასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა გამოცხადების დღიდან 2006 წლის 22 თებერვლის $18^{00}$ სთ-მდე.

5. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში 2006 წლის 23 თებერვალს $10^{00}$ - $16^{00}$ სთ-მდე.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს 5-ე პუნქტში აღნიშნულ ვადაში 7-ე ან 8-ე პუნქტში ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო დოკუმენტებს:

7. **საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

· მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან).

· მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).

· არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან).

· მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

8. **საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

· მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან)

· უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

9. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 23 თებერვალს $16^{00}$ სთ-ზე.

11. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურეს დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: რუსთავი, კოსტავას გამზ. N20 4-ე სართული სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

ტელ: 824 12 36 35.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს ღია ტენდერს (ორ ლოტად) ქალაქ რუსთავში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების გაწევის შესახებ, რომლის ღირებულება უნდა იყოს არა უმეტეს 0,4 ლარზე (რუსთავის საკრებულოს მიერ დადგენილი ტარიფის 0.4 ლარი თვეში ერთ სულ მოსახლეზე) მეტი. მიმწოდებელი მიიღებს დაფინანსებას ერთ სულ მოსახლეზე 25%-ის ოდენობით შემსყიდველისაგან (რაზეც ცხადდება ტენდერი), ხოლო დანარჩენი 75% მიმწოდებელმა უნდა ამოიღოს მოსახლეობიდან საკუთარი ძალებით. აღნიშნულ ტენდერს შეიძლება ჰყავდეს თითოეულ ლოტში ინდივიდუალური გამარჯვებული.

I ლოტი:

- ქ. რუსთავში ვახტანგ გორგასლის და შოთა რუსთაველის სახ. ტერიტორიული მართვის სამსახურების ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოსახლეზე (დაახლოებით 50475 კაცი) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების გაწევის შესახებ.

II ლოტი:

- ქ. რუსთავში ჟიული შარტავას, დავით აღმაშენებლისა და ცენტრალური სახ. ტერიტორიული მართვის სამსახურების ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოსახლეზე (დაახლოებით 49524 კაცი) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების გაწევის შესახებ.

2. "მიმწოდებელი" ვალდებულია გაიტანოს ნაგავი თვეში ორჯერ იმ საცხოვრებელი სახლებიდან, სადაც არის ბუნკერი, ხოლო იმ საცხოვრებელი სახლებიდან, სადაც არ არის ბუნკერი, ყოველდღიურად.

3. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც "სახალხო ბანკი"-ს რუსთავის ფილიალში (ბ.კ. № 220101413), სადაც რუსთავის ხაზინას (ა.ა. № 33030001) გახსნილი აქვს ანგარიში, უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

4. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის: ქ. რუსთავი, კოსტავას №20, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა, მე-4 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამსახური) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

5. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 22 თებერვლის 18 საათამდე.

6. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში 2006 წლის 23 თებერვალს 10-დან 18 საათამდე.

7. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს მე-6 პუნქტში აღნიშნულ ვადაში მე-8 ან მე-9 პუნქტებში ჩამოთვლილ დოკუმენტებს.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
- მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

9. საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

10. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც, ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება, ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას.

11. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 23 თებერვალს 18 საათზე.

12. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: რუსთავი, კოსტავას გამზ. №20, მე-4 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამსახური. ტელ. 824 12 36 35.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე კახი თხელიძე**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ახალციხის გამგეობა (ქ. ახალციხე მ. კოსტავას ქ. N18, ქ. ახალციხის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართული) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს მდ. ურაველიდან ქ. ახალციხის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საპროექტო ორგანიზაციებს.

2. შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს მდ. ურაველზე არსებული სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია-რეკონსტრტუქციას ყველა ძირითადი ელემენტების დაპროექტებით; მდ. ურაველზე ზედაპირული წყალმიმღების დაპროექტებას; ძირითადი წყალშემკრები საკნის დაპროექტებას; წყალდენის, სასმელი წყლის ტრანსპორტირებისათვის, დაპროექტებას წყალშემკრებიდან ქ. ახალციხემდე; სასმელი წყლის გაუსნებოვნების ნაგებობის პროექტირებას; სანიტარული დაცვის ზონის დაპროექტებას.

3.საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების საბოლოო ვადაა 2006 წლის 20 აპრილი.

4. დაფინანსების წყაროა ქ.ახალციხის ბიუჯეტი

5. პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად (ღირებულების გარეშე) უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

იურიდიული პირისათვის:

შესყიდვაში მონაწილეობი მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია დამის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება(ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრტაციის ადგილის მიხედვით;

ფიზიკური პირისათვის

ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა:

სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო სამუშაოების შესრულებაზე;

ინფორმაცია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის და მოცულობის სამუშაოების შესახებ.

ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითადი სპეციალისტების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

ორ ან რამოდენიმე იურიდიულ ან ფიზიკურ პირს აქვს უფლება წარმოადგინონ ერთობლივი სატენდერო წინადადება

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციასაკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**6. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის შესახებ:**

საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და პირველადი სატენდერო დოკუმენტაცია მოწოდებულ უნდა იქნას ქართულ ენაზე. (უცხოენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე)

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით.

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ( თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს) რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს სატენდერო კომისიის 2006 წლის 25 თებერვლის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. ახალციხე მ. კოსტავას ქ. N18, ქ. ახალციხის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართული.

სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებით საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტების შერჩევის საფუძველს.

7.სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

მოწვეული პრეტენდენტები სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (მიმღების დასახელება- ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ახალციხე), ანგ. N200122900, ეროვნული ბანკი ბანკის კოდი 220101107, ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი 30584040) სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ შემდეგ მისამართზე ქ. ახალციხე მ. კოსტავას ქ. N18, ქ. ახალციხის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან დავით ყულიჯანიშვილი 899177104, ნოდარ გასპარაშვილი 893997082.

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს მყარი საწვავის (შეშა) შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** მყარი საწვავი (შეშა).
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 27 თებერვლის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)

ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 28 თებერვლიდან 4 მარტის 14:30 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 4 მარტის 14:30 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.**

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

**სატენდერო კომისია**

| ლოტი N | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| **ლოტი N1** | მყარი საწვავი (შეშა) | $მ^3$ | 1500 | 15.03.06-31.12.06 შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში | თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ რეგიონალურ ბაზებში |

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** სოფლის მეურნეობის პროდუქტები
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 27 თებერვლის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)

ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 28 თებერვლიდან 4 მარტის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 4 მარტს 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა პრეტენდენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2005 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);
2. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტროქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.**

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

**საქონლის მიწოდების გრაფიკი**

| ლოტი N | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში) | მიწოდების ადგილი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ქ. თბილისი | ქ. ქუთაისი |
| 1 | დაფნის ფოთოლი | კგ | 978.00 | 10.03.06-31.12.06 | 616 | 362 |
| 2 | ლობიო | კგ | 35364.00 | 10.03.06-31.12.06 | 22279 | 13085 |
| 3 | ბარდა | კგ | 35364.00 | 10.03.06-31.12.06 | 22279 | 13085 |
| 4 | კვერცხი | ცალი | 1500907.00 | 10.03.06-31.12.06 | 945571 | 555336 |
| 5 | კომბოსტო | კგ | 187320.00 | 10.03.06-30.09.06 | 118012 | 69308 |
| 6 | კომბოსტო | კგ | 80280.00 | 01.10.06-31.12.06 | 50576 | 29704 |
| 7 | ჭარხალი | კგ | 90982.00 | 10.03.06-30.09.06 | 57319 | 33663 |
| 8 | ჭარხალი | კგ | 38991.00 | 01.10.06-31.12.06 | 24564 | 14427 |
| 9 | სტაფილო | კგ | 91073.00 | 10.03.06-30.09.06 | 57376 | 33697 |
| 10 | სტაფილო | კგ | 39030.00 | 01.10.06-31.12.06 | 24589 | 14441 |
| 11 | ხახვი | კგ | 117104.00 | 10.03.06-30.09.06 | 73776 | 43328 |
| 12 | ხახვი | კგ | 50187.00 | 01.10.06-31.12.06 | 31618 | 18569 |
| 13 | ნიორი | კგ | 17581.00 | 10.03.06-31.12.06 | 11076 | 6505 |
| 14 | კიტრი | კგ | 64409.00 | 01.07.06-30.09.06 | 40578 | 23831 |
| 15 | პომიდორი | კგ | 35640.00 | 01.07.06-30.09.06 | 22453 | 13187 |
| 16 | ბადრიჯანი | კგ | 29781.00 | 01.07.06-30.09.06 | 18762 | 11019 |
| 17 | მწვანილი | კგ | 26560.00 | 10.03.06-31.03.06 01.10.06-31.12.06 | 16733 | 9827 |
| 18 | მწვანილი | კგ | 39840.00 | 01.04.06-30.09.06 | 25099 | 14741 |
| 19 | ვაშლი | კგ | 383960.00 | 10.03.06-31.12.06 | 241895 | 142065 |
| 20 | საზამთრო | კგ | 30360.00 | 01.07.06-30.09.06 | 19127 | 11233 |
| 21 | მანდარინი | კგ | 23100.00 | 15.10.06-31.12.06 | 14553 | 8547 |
| 22 | ფორთოხალი | კგ | 7700.00 | 15.10.06-31.12.06 | 4851 | 2849 |
| 23 | მსხალი | კგ | 20240.00 | 01.07.06-30.09.06 | 12751 | 7489 |
| 24 | ატამი | კგ | 15180.00 | 01.07.06-30.09.06 | 9563 | 5617 |
| 25 | ქლიავი | კგ | 10120.00 | 01.07.06-30.09.06 | 6376 | 3744 |

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს ღია ტენდერს ქალაქ რუსთავში ქუჩების დაგვა-დასუფთავების (ქუჩების დაგვა და მონახვეტის გადაყრა ნაგავსაყრელზე) მომსახურების გაწევის შესახებ. მოსახვეტი ფართობი შეადგენს 1 523 305 კვ მ, რომელიც უნდა დაიგავოს ყოველდღე.

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც "სახალხო ბანკი"-ს რუსთავის ფილიალში (ბ.კ. № 220101413), სადაც რუსთავის ხაზინას (ა.ა. № 33030001) გახსნილი აქვს ანგარიში, უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

3. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის: ქ. რუსთავი, კოსტავას №20, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა, მე-4 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამსახური) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 22 თებერვლის 18 საათამდე.

5. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში 2006 წლის 23 თებერვალს 10-დან 17 საათამდე.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს მე-5 პუნქტში აღნიშნულ ვადაში მე-7 ან მე-8 პუნქტებში ჩამოთვლილ დოკუმენტებს.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
- მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

8. საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

9. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც, ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება, ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 23 თებერვალს 17 საათზე.

11. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: რუსთავი, კოსტავას გამზ. №20, მე-4 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამსახური. ტელ. 824 12 36 35.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე კახი თხელიძე*

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ტენდერს გახმოვანების აპარატურის (ხმის აქტიური დინამიკი, ხმის სამართავი, მიკროფონები, მიკროფონის დისტანციური სისტემები, აქსესუარები, სამონტაჟო მასალა) შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული. სამეურნეო საქონლის დეტალური ჩამონათვალი მოცემული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 მაისამდე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 23 თებერვლიდან 24 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

*იურიდიული პირისათვის:*

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და / ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

*ფიზიკური პირისათვის:*

1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის აN200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 30200 3000; დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 23 თებერვლამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რამაზ მინდიაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 998977; 893180324 და შორენა მამუკაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 934739; 899732878; მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას N7;

*სატენდერო კომისია*

# სანდენსი დასრულდა



29 იანვარს დამოუკიდებელი კინოს ფესტივალი სანდენსი დასრულებულად გამოცხადდა. მისი ლაურეატები გახდნენ: მხატვრული ფილმი Quinceanera ("მეთხუთმეტე წლისთავი") და კრისტოფერ კუინის დოკუმენტური სურათი God Grew Tired of Us ("ღმერთი ჩვენგან დაიღალა"). სანდენსის 22 წლის სტაჟის მიუხედავად, წელს ჟიურისა და მაყურებლის არჩევანი პირველად დაემთხვა ერთმანეთს.

"ღმერთი ჩვენგან დაიღალა" დოკუმენტური ფილმია სამი სუდანელი ლტოლვილის შესახებ, რომლებიც უეცრად ამერიკაში ამოყოფენ თავს.

უოშა უესტმორლენდის "თხუთმეტი წლისთავი" დრამაა თხუთმეტი წლის გოგონას შესახებ, რომელიც ლოს ანჯელესის ესპანურენოვან უბანში ცხოვრობს და თხუთმეტი წლის ასაკში ოჯახიდან აძევებენ. მთავარი გმირი ბაბუისა და ჰომოსექსუალი ბიძაშვილის სახლში იპოვის თავშესაფარს.

პრემია საუკეთესო რეჟისურისთვის მიიღო დიტო მონტელის ავტობიოგრაფიულმა ფილმმა A Guide to Recognizing Your Saints" ("გიდი თქვენი წმინდანების შესაცნობად"). ამ ფილმმა სპეციალური პრიზი აიღო ასევე საუკეთესო სამსახიობო ჯგუფისთვის.

საუკეთესო კინოდოკუმენტალისტი გახდა ჯეიმს ლონგლი. ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურა "ერაყულმა ფრაგმენტებმა" (Iraq in Fragments), რომელიც ერაყის დღევანდელობას ეხება. პრემია მიიღო ასევე ამ უკანასკნელი ფილმის ოპერატორმა მონტაჟისტმა.

# მერილინ მენსონი ლუის კეროლის როლში



როკმომღერალი მერილინ მენსონი აქტიურ მოღვაწეობას იწყებს კინოს სფეროში. ახალ ფილმში, რომლის სცენარის ავტორი და რეჟისორიც თვითონ იქნება, ის განასახიერებს ლუის კეროლს, ავტორს ნაწარმოებისა "ალისა საოცრებათა სამყაროში". ამჟამად მენსონი, რომლის ნამდვილი სახელია ბრაიან უორნერი, მოლაპარაკებას აწარმოებს ბერლინის ფესტივალის ევროპული ფილმის ბაზართან, რათა ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვოს ფილმისთვის, რომლის სახელწოდება იქნება "ფანტასმაგორია: ლუის კეროლის ხილვები". ფილმის ბიუჯეტი დაახლოებით 4 მილიონი დოლარი იქნება. გადაღება ზაფხულში დაიწყება. მანამდე მენსონი ბერლინის ფესტივალს დაესწრება და წარმოადგენს მუსიკას, რომელიც მან ამ ფილმისთვის დაწერა. "ფილმში ხალხი მიიღებს იმას, რასაც მენსონისგან ელოდება", - აცხადებს პროდიუსერი ალან დე ლა მატა.

მერილინ მენსონს 2006 წელს კიდევ რამდენიმე ფილმში ვიხილავთ. ამავე დროს მას სურს გადაიღოს სამსერიიანი ფილმი ედგარ პოს მოთხრობების მიხედვით. პარალელურად მენსონი მუსიკალურ მოღვაწეობასაც აგრძელებს და გაზაფხულზე მეექვსე სტუდიური ალბომის გამოცემას გეგმავს.

# ჰიტლერის ნახატებს ყიდიან

დიდი ბრიტანეთი ადოლფ ჰიტლერის მიერ შესრულებულ აკვარელებს გაყიდვას უპირებს. ნახატები შესრულებულია 1916-1918 წლებში, მაშინ, როცა ჰიტლერი კაპრალი გახლდათ გერმანიის არმიაში, პირველი მსოფლიო ომის დროს. დაახლოებით 70 წლის განმავლობაში ტილოები ბელგიაში, მისი სახლის სხვენში მოთავსებული დიდი ჩემოდნის ატრიბუტებს წარმოადგენდნენ.

მხატვრულ ნამუშევრებს აუქციონზე მარტში გაიტანენ. წინასწარი ინფორმაციით, კოლექციის საერთო და საწყისი ღირებულება 100 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

აუქციონის ვაჭრობას კომპანია Jefferys გამართავს. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ამ კომპანიამ ადოლფ ჰიტლერის ერთ-ერთი ნახატი 5 200 ფუნტად გაყიდა.

პაულო კოელიოს სვეტი

# ღმერთი და იუმორი

## სამი ქალი და მათი ვაჟები



ზის სამი ქალბატონი და თავიანთ შვილებზე ლაპარაკობენ. ერთი ამბობს:

"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ვაჟმა მღვდლობა გადაწყვიტა. ახლა საკმარისია, ოთახში ფეხი შემოდგას, რომ გარშემომყოფები მოწიწებით ფეხზე დგებიან, ეგებებიან და პატივისცემით მიმართავენ: "მამაო...!"

მეორე ქალი თვალებგაბრწყინებული უსმენდა. დაამთავრა თუ არა პირველმა წინადადება, დასძინა:

"მე კიდევ უფრო ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ვაჟი მარტო მღვდელი კი აღარაა, ახლა კარდინლად აკურთხეს. ასე რომ, სადაც გამოჩნდება, ხალხი მოწიწებით ქედს იხრის მის წინაშე, ხელზე ეამბორება და ამბობს: "თქვენო მოწყალებავ!"

მესამე ქალი ჩუმად იყო, არაფერს ამბობდა. დაამთავრეს თუ არა თავ-თავიანთი ამბების მოყოლა, ლაპარაკში გართული მეგობრები მიუბრუნდნენ მას და ჰკითხეს:

"შენ რაღას გვეტყვი შენი შვილის შესახებ?"

"რა გითხრათ... ჩემი ვაჟი ძალიან მაღალი და ახოვანი ყმაწვილია, ღია ფერის თმა აქვს და ლურჯი თვალები. სადაც გამოჩნდება, ყველა ჩერდება, მისკენ გაოცებული იყურება და ამბობს: "ღმერთო ჩემო!"

### ტაქსის მძღოლი და მღვდელი

ერთი მღვდელი გარდაცვალებისთანავე სამოთხეში მოხვდა. დანიშნულების ადგილას წმიდა პეტრე შეეგება და თბილად მიიღო. ისინი ერთად მიაბიჯებდნენ მშვენიერ ბაღებში, როცა სრულიად მოულოდნელად მღვდელმა თავისი მრევლის წევრი, ტაქსის მძღოლი შენიშნა, რომელიც რამდენიმე წლით ადრე ავტოავარიაში გარდაცვლილიყო. მღვდელს ახსოვდა, რომ ეს ავარია ტაქსის მძღოლის ბრალი იყო. ახლა კი ღვთიურ იერარქიაში ის გაცილებით უფრო წინ იდგა, ვიდრე ახალგარდაცვლილი მღვდელი.

"არ მესმის, რა ხდება", - შესჩივლა მან წმიდა პეტრეს, - "მთელი ცხოვრება საღვთო სამსახურს მივუძღვენი და ამ კაცმა კი მიწიერ ცხოვრებაში საერთოდ არაფერი არ გააკეთა აქ მოსახვედრად! როგორ შეიძლება ეს?"

"როგორ და აქ, ზეციურ სამყაროში ჩვენ უფრო მეტ მნიშვნელობას შედეგებს ვანიჭებთ. მითხარი, შენს ნათქვამს ხალხი ყოველთვის გულისყურით უსმენდა?"

"სიმართლე უნდა გითხრა და ვაღიარო, რომ ხშირად არ გამომდიოდა, მარტივად და გასაგებ ენაზე ამეხსნა ადამიანებისთვის, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს რწმენას. ხანდახან კი იმასაც ვამჩნევდი, რომ ზოგიერთი მორწმუნე წირვის დროს თვლემდა კიდეც".

"მაშინ ახლა კი უნდა გესმოდეს, თუ რატომ მივანიჭეთ ტაქსის მძღოლს ჩვენთან ამდენი პრივილეგია: საკმარისი იყო მის ტაქსიში ჩაჯდომა, რომ შიშისგან (ის ძალიან სწრაფად ატარებდა) ყველაზე თავგადაკლული ათეისტებიც კი მორწმუნეები ხდებოდნენ და გაცხარებით იწყებდნენ ლოცვას".

### ფიცის შენახვა

ერთ სოფელში ორი ძმა ცხოვრობდა, ორივეს ცუდი ხასიათი და ავი ზნე ჰქონდა და თანასოფლელებს საშინლად ჩაგრავდნენ. მაგრამ მაინც თვალთმაქცობდნენ და სხვებისთვის რომ თავი წესიერ ადამიანებად მოეჩვენებინათ, კვირაობით ეკლესიაში მაინც დადიოდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს ეკლესიაში ახალი მოძღვარი მოვიდა – ახალგაზრდა, ენერგიული, მართლის პირდაპირ მთქმელის რეპუტაციით ცნობილი. მღვდელმა ტაძარში რეფორმების ჩატარება გადაწყვიტა. როცა ამ საქმისთვის საჭირო შეწირულობებს იღებდა, ძმათაგან ერთ-ერთი გარდაიცვალა. დაკრძალვის ღამეს, პასტორთან მეორე ძმა მივიდა და იმდენი ფული გადასცა, რამდენიც ეკლესიაში დაწყებული სამუშაოების დასრულებას ბოლომდე ჰყოფნიდა.

"ოღონდ ამ ფულს ერთი პირობით გაძლევთ", - დასძინა მან ბოლოს, - "ხვალ, როცა მიცვალებულს წესს აუგებთ, უნდა აღნიშნოთ, რომ ჩემი ძმა ნამდვილი წმინდანი იყო. ვიცი, მიცემულ სიტყვას არასდროს გადასულხართ და ამიტომ გთხოვთ ამას წინასწარ".

პასტორმა პირობა მისცა, რომ ზუსტად ისე მოიქცეოდა, როგორც სთხოვეს და ფული აიღო.

მეორე დღეს მან პირობა ასე შეასრულა. წესის აგებისას აღნიშნა:

"მიცვალებული საშინელი კაცი იყო. ის ჩაგრავდა ღარიბებს, სესხად გაცემულ ფულში უზარმაზარ პროცენტს ითხოვდა, ღალატობდა ცოლს და შეურაცხყოფდა თავისზე სუსტებს". შემდეგ ორიოდე წუთით გაჩერდა და სიტყვა ასე დაასრულა: "თუმცა, თავის ძმასთან შედარებით, რომელიც კვლავაც ჩვენს რიგებში დგას, აწგარდაცვლილი ნამდვილი წმინდანი გახლდათ".

# ეკა და ლეიბორისტი

**ეკა კვესიტაძე**: დღეს "დიალოგების" სტუმარია საკრებულოს წევრი, ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი. საუბარს დავიწყებთ ორი დღის წინ საკრებულოში მომხდარი ინციდენტით. რამ გამოიწვია ასეთი ჩხუბი?

**სოსო შატბერაშვილი**: სანამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა გითხრათ რა მოხდა 2 დეკემბერს საკრებულოში. მაშინ მოხდა სისხლის სამართლის დანაშაული. დეპუტატებს სპეცნაზი მიუსიეს, ადამიანები, რომლებსაც საკრებულოში არაფერი ესაქმებათ. ეს ამბავი არ გამოიძია ჩვენმა არშემდგარმა სახელმწიფომ, მაგრამ ჩვენ გამოვიძიეთ. იყო რამდენიმე დაჯგუფება, ბიძინა ბრეგაძის ხალხი, ლაშა მაქაცარიას მეგობრები... ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. როგორც აღმოჩნდა, გიგი უგულავასა და პრეზიდენტის დავალებით გადაწყდა ანგარიშსწორება ოპოზიციურ პარტიასთან.

**ეკა კვესიტაძე**: თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა ხელისუფლების ასეთი საქციელი? განა მსგავსი მოვლენები მმართველი პარტიის იმიჯზე კარგად მოქმედებს?

**მსმენელი**: ძალიან მიყვარს ლეიბორისტული პარტია. ისინი მუდამ ხალხის სამსახურში იყვნენ, დღესაც ჩვენს გვერდით არიან, ჩვენთვის იბრძვიან.

**სოსო შატბერაშვილი**: ყველას კარგად მოეხსენება, რომ ყველაფერზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა.

**ეკა კვესიტაძე**: დიახ, მაგრამ ჩხუბსა და ძალადობაზე მხოლოდ ხელისუფლება ვერ იქნება პასუხისმგებელი. დავუბრუნდეთ 2 დეკემბერს. გასაგებია, რომ საკრებულოში შემოვიდნენ გარე ძალები, მაგრამ რა იყო ჩხუბის მიზეზი, საბაბი?

**სოსო შატბერაშვილი**: იმ დღეს 2000-მდე პენსიონერი გამოვიდა პარლამენტის წინ. იმავე დღეს უნდა დამტკიცებულიყო ბიუჯეტი, რომლის შესახებ განვაცხადეთ, რომ ის მიუღებელი იყო ჩვენთვის. იქ დიდი თანხები იყო გამოყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოგზაურობისთვის, როცა სოციალურად დაუცველი საზოგადოებისთვის საოცრად მცირედი იყო განკუთვნილი. კულუარებში უმრავლესობის წევრებიც ამბობდნენ, რომ ბიუჯეტს ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ამ დარბევის შემდეგ ის ადამიანებიც დაშინდნენ. ლეიბორისტული პარტიის ექვსი წევრის დასარბევად 100 ადამიანი შემოიყვანეს. ამის გამეორება იყო 31 იანვრის მბავიც.

**ეკა კვესიტაძე**: არსებული ინფორმაციით, დაძაბულობა დაიწყო მას შემდეგ, რაც დარბაზში შევიდა ლეიბორისტი პაატა ჯიბლაძე, რომელიც გიორგი ტაბიძეს შეელაპარაკა. ამის შემდეგ დაიწყო ფართომასშტაბიანი ჩხუბი. თუ ეს ყველაფერი ლეიბორისტული პარტიის წევრმა გამოიწვია, მაშინ რა პროვოკაციაზეა საუბარი?

**სოსო შატბერაშვილი**: პროვოკაციაზეა საუბარი, რადგან დარბაზი ისევ გაივსო სპეცნაზით. სხვათა შორის, პაატა ჯიბლაძეს დიდი ხანია უნდოდა 2 დეკემბრის მოვლენების გარკვევა, გიორგი ტაბიძესთან კი იმიტომ მივიდა, რომ ამ უკანასკნელმა მაშინ პირადად მე მომაყენა შეურაცხყოფა, რადგან მე თბილისის მერს ცრუპენტელა ვუწოდე.

**მსმენელი**: მე არ ვარ ამ ხელისუფლების მადიდებელი, მაგრამ ხომ არ შეიძლება მუდამ უკმაყოფილო იყო? პრობლემებს მუდამ ქმნიან ლეიბორისტები და მგონია, რომ ისინი ზედმეტად პრეტენზიულნი არიან. განა შეიძლება ყველა ხელისუფლების ოპონენტი იყო და ვერასდროს ვერაფერი ვერ დაინახო? მე ვიყავი ლეიბორისტების მომხრე, მათ დიდი შანსი ჰქონდათ, დიდი მასები იდგნენ მათ გვერდით, მაგრამ ვერ გაამართლეს.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ ვერ გაუმართლეთ ხალხს იმედები? ამიტომ ხართ მუდმივად და ყველა საკითხში ოპოზიციაში?

**სოსო შატბერაშვილი**: ძალიან კარგი კითხვაა – რატომ ვართ ყველა მთავრობის დროს ოპოზიციაში? იმიტომ რომ ვერანაირ განსხვავებას ვერ ვხედავთ შევარდნაძის ხელისუფლებასა და ამ ხელისუფლებას შორის. ერთადერთი, ახლანდელი არის "მინუს შევარდნაძე", სხვა ყველაფერი იგივეა. იგივე "მოქალაქეთა კავშირია" და სხვა არაფერი.


გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge






## ევრაზიის ფონდი

### წარმომადგენლობა საქართველოში

# განცხადება

ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისი აცხადებს "მილსადენის მონიტორინგის და დიალოგის ინიციატივის" (PMDI) მეორე ეტაპს. პროგრამა განხორციელდება BP-საქართველოსთან თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC), BP-საქართველოს და ევრაზიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამა მიზნად ისახავს იმ გავლენის მონიტორინგს, რომელსაც ახდენს BTC და SCP მილსადენების მშენებლობა და მოქმედება.

ევრაზიის ფონდის PMDI პროგრამა იწვევს საქართველოში ოფიციალურად აღიარებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს პროგრამის მეორე ეტაპში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამაში მონაწილეობისათვის რეგისტრირებული ყველა პირი შეუერთდება ინტერესთა ჯგუფებს სამი ძირითადი თემის გარშემო: (1) გარემო და ეკოლოგია; (2) სოციალური და ადამიანის უფლებების საკითხები; (3) კულტურული მემკვიდრეობა.

პროგრამის მეორე ეტაპისათვის განიხილება შემდეგი კონკრეტული საკითხები:
- ნარჩენების მართვა;
- აღდგენითი პროცესის მართვა (ბიომრავალფეროვნების ჩათვლით);
- ნავთობის დაღვრის საპასუხო ზომები;
- კულტურული მემკვიდრეობა (ისტორიული ძეგლების დაცვის ჩათვლით);
- მიწის დაბრუნების პროცესი;
- ინფრასტრუქტურის საკითხები (მშენებლობის გავლენა ინფრასტრუქტურაზე).

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იდეების შემოთავაზება პროგრამის მეორე ეტაპზე შესასწავლი დამატებითი საკითხების შესახებ.

ევრაზიის ფონდი აპირებს ცალკეული საკითხების ექსპერტებისაგან 3-5 სამუშაო ჯგუფის შედგენას. თითოეული სამუშაო ჯგუფისათვის კონკურსის წესით შეირჩევა თითო კოორდინატორი, რომელიც ჯგუფის საქმიანობას გაუძღვება.

პროგრამით დაინტერესებულმა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა და წარადგინონ იგი ევრაზიის ფონდში **2006 წლის 13 თებერვლის 17:00 საათამდე.**

სარეგისტრაციო ფორმა და შესასრულებელი სამუშაოს სრული აღწერილობა (სამუშაო ჯგუფის წევრებისა და კოორდინატორებისათვის) შეგიძლიათ მოიპოვოთ ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისის ვებ-გვერდზე ან ოფისის მისაღებში. პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისს.

1. www.eurasia.org.ge
2. ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისი, კავსაძის ქ. N3, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 22-32-64; 25-39-42/43;
საკონტაქტო პირი: კობა თურმანიძე - PMDI პროგრამის კოორდინატორი
ელ-ფოსტა: kobat@eurasia.org.ge



მეუღლე მერაბ ჩიხრაძე, შვილი ლადუკა, მზია ჩიხრაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანი ღვამიჩავა**

პანაშვიდი შედგება 3 და 4 თებერვალს. მისამართი: ასათიანის ქუჩა 12. პირველი სადარბაზო, მერვე სართული. გამოსვენება კვირას, 5 თებერვალს 15 საათზე, ამაღლების ეკლესიიდან საბურთალოს სასაფლაოს ახალ პანთეონში.

ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიის მიერ გაზეთ "24 საათის" 30 დეკემბრის ნომერში გამოცხადდა კონკურსი, ქ. თბილისში რიყის ტერიტორიის (43350 კვ.მ მიწის ნაკვეთი) განკარგვაზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით, სადაც გაიპარა უზუსტობა. ზედმეტია შემდეგი ტექსტი:

"განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

განცხადება დალუქული პაკეტის სახით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პროგრამის III პუნქტით გავალისწინებულ მოთხოვნებს.

ფიზიკური ან იურიდიული პირების რეკვიზიტები;

შემდეგი ცნობები:"




**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**